საჯარო ბიბლიოთეკა
ფონდი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 42
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | ქ მა. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

დღიური

— ბრაზილიის მთავრობის ჯარებმა აიღეს სან-პაულო.

— მოსულში ინგლისის ჯარებს თავს დაესხნენ ადგილობრივი მცხოვრებლები.

— დაიღუპა იაპონიის გემი „ტაირა მარუ“.

— სამხრეთ-სლავიაში შედგა ახალი მთავრობა.

— ჩინეთში იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლა სერიოზულ ხასიათს იღებს,

— ბელგიის დეპუტატთა პალატამ უარყო სოციალისტების წინადადება ამნისტიის შესახებ.

— გერმანიის მრეწველები—ნახშირის ფასებს 10 პროცენტით ადიდებენ.

№ 172 (1027) ხუთშაბათი, 31 ივლისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 172 (1027)

ხუთშაბათს, 31 ივლისს, საღამოს 8 საათზე
შესდგება
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
ს. ს. ცაკის მდივანი საბაშვილი.

ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

როგორც ვიცით კომინტერნის და პროფინტერნის უკანასკნელმა კონგრესებმა ყოველმხრივ განიხილეს საკითხი პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის შესახებ. ყვითელ ამსტერდამის ინტერნაციონალის წინააღმდეგობა ამ საკითხში ძალღეულ უნდა იქნეს და პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენისთვის მსოფლიო მასშტაბით კიდეც გაჩაღებულია ბრძოლა.

ყვითელი ამსტერდამი ისევ განაგრძობს თავის თვალთმაქცურ პოლიტიკას. ის ვითომ თანხმობას აცხადებს გაერთიანებაზე, მაგრამ მხოლოდ მისი სტატუტის და პირობების მიღების შემდეგ. რუსეთის პროფკავშირთა საბჭოსადმი მიმართულ წერილში ის თანხმობას აცხადებს რუსეთის პროფკავშირებთან მოლაპარაკების გამართვაზე „იმ მიზნით, რათა მიღწეულ იქნეს რუსეთის პროფკავშირთა ჩაბმა საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობაში ამსტერდამის ინტერნაციონალის სტატუტისა და პირობების სავალდებულო მიღების საფუძველზე“.

რასაკვირველია, ამ სიტყვებში არ სჩანს გულწრფელი სურვილი გაერთიანებისა; ეს ნიშნავს არა გაერთიანებას, არამედ რუსეთის რევოლიუციონურ პროფკავშირების სოციალ-შემთანხმებელთა ართახეში მოქცევის, გათქვეფის ცდას. ცხადია, რუსეთის პროფკავშირები ამ წინასწარ პირობების მისაღებათ ვერ იცნობდენ, თუმცა ისინი თანხმა არიან გაერთიანების შესახებ დაუყონებლივ მოლაპარაკების დაწყებაზე.

საკითხი პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ დაისვა აგრეთვე ამ დღეებში გახსნილ მეღითონეთა კონგრესზე ვენაში. რეფორმისტულად განწყობილი მეღითონეთა კონგრესის ნაწილს იმდენად აშინებს საკითხი პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის შესახებ, რომ რუსეთის მეღითონეთა დელეგატს ამხ. არსენიევს ნებას არ აძლევს კონგრესის წინაშე გამოაქვეყნოს რუსეთის მეღითონეთა პოზიცია გაერთიანების საკითხში. კონგრესმა ხსენებული საკითხი ღიათ დასტოვა.

ცხადია, რომ ყვითელ ინტერნაციონალის ბელადები გაურბიან რუსეთის დელეგატთან დისკუსიას, რომ აშკარა არ გახდეს მათი გამცემლობა და შიში პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის წინაშე. პროფმოძრაობის მთლიანობა ხომ ლახვარს ჩასცემს საერთაშორისო რეაქციას, შეაჩერებს კაპიტალის შეტევას და მით ნიადაგს გამოაცლის მათ გავლენას მუშათა მასებზე. აი სწორედ ეს მათთვის მეტად სამწუხარო მოლოდინი აიძულებს ამსტერდამის ბელადებს ჩაებღაუჭონ თავის არქაიულ „სტატუტებს“.

ამსტერდამელებს თავი მოაქვთ თავისი გავლენით მუშათა მასებზე, თითქო ისინი წარმოადგენენ ერთადერთ ორგანიზაციას, რომელშიც თავს იყრის მსოფლიო მუშათა კლასის დიდი უმრავლესობა.

თუ ეს ასეა, და თუ მათ იმედი აქვთ თავის გავლენის შენარჩუნების გაერთიანების შემდეგაც, მაშ რათ გაურბიან მთლიანობის აღდგენას? პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენა ზრდის მუშათა კლასის შეტევის და ბრძოლის უნარს კაპიტალის წინააღმდეგ, ამსტერდამის ინტერნაციონალი კი გაურბის მას. აშკარაა მათი კავშირი კაპიტალთან, აშკარაა მათი შიში მუშათა მთლიანი რევოლიუციონურ ფრონტის წინაშე.

მაგრამ შიში საქმეს ვერ უშველის. მუშათა მასები დღითი-დღე ერკვევიან მდგომარეობაში. ვერავითარი „სტატუტებით“ და წესდებებით ვერ შეაჩერებენ მუშათა მოძრაობის აზვავებულ ტალღებს, რომელიც წალეკავს უქადის კაპიტალისტურ მსოფლიოს, ყველა მის დამცველთ და ხელისშემწყობთ.

პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის ლოზუნგის მსოფლიო მუშათა მოძრაობის დღის წესრიგიდან მოხსნას ვერ მოახერხებენ სხვადასხვა ჯურის სოციალ-შემთანხმებლები. ამ ლოზუნგით კომინტერნი და პროფინტერნი შესძლებენ მუშათა ახალი ძალების დარაზმვას თავის დროშის ქვეშ.

პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენა თავდებია მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისა. კომინტერნი და პროფინტერნი ამზადებენ ნიადაგს ამ გამარჯვებისთვის. ამსტერდამის ინტერნაციონალი თავისი წინასწარი პირობების წამოყენებით აშკარავებს თავის ნამდვილ სახეს და მუშათა კლასისადმი თავის გამცემლურ პოლიტიკას.

ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენისათვის ძლიერდება მსოფლიო მასშტაბით. ახლოვდება მომენტი მუშათა მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის განმტკიცებისა და კაპიტალის დამარცხებისა.

ახალი გზა სწავლა-განათლების საქმეში

სასკოლო ქსელის სისტემაში გარდა შრომის სკოლებისა არსებობენ კიდევ მეორე საფეხურის სკოლები, ე. ი. ტეხნიკუმები.

ტეხნიკუმების ამოცანას შეადგენს მოზარდი თაობის აღჭურვა სპეციალური, ცხოვრებაში პრაქტიკულად გამოსაყენებელი ცოდნით.

საბჭოთა ხელისუფლება სწავლა-განათლების გეგმას და პროგრამას უფარდებს ადგილობრივ-ეკონომიურ პირობებს.

სწორედ ასე იდგა საკითხი განათლების კომისარიატში, როცა ის იმუშავებდა მეორე საფეხურის სკოლების სპეციალურ სკოლებად გარდაქმნის საკითხს.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველო უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა. ამიტომ ჩვენი სკოლა უნდა ემსახურებოდეს სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელების საქმეს.

თვით დრომ წამოაყენა მოთხოვნილება რომ ჰუმანიტარული განათლება, რომელიც აქამდე საფუძვლად ედვა ჩვენს სკოლას, გზა უნდა დაუთმოს ახალ მეთოდს, ახალ მიმდინარეობას — სახელდობრ—სპეციალურ ცოდნის შემოღებას და მის გაძლიერებას.

საჭირო იყო ახალი გზა და ეს გზა უკვე მონახულია. ძველი გზა ჰუმანიტარული განათლება, რომელიც მხოლოდ შრომის ბირჟის კანდიდატებს და ადმინისტრატიულ აპარატის მოჰმუშავეებს იძლეოდა, უარყოფილ უნდა იქნეს.

შემოღებულ უნდა იქნეს სპეციალური ცოდნა ადგილობრივ პირობების და მკვიდრის მოთხოვნილების მიხედვით.

განათლების კომისარიატმა თავიდანვე პრინციპად დაისახა ეს ახალი გზა და ამ სამი წლის განმავლობაში შეძლებისდაგვარად შეამცირა ჰუმანიტარული ხასიათის სკოლები.

წელს კი უკვე ასეთი სკოლების დახურვა აუცილებელი შეიქნა, ვინაიდან სოციალურ აღზრდის სისტემაში არსებული 9 წლიანი შრომის სკოლები უკვე თვის ნორმალურად განვითარებამდე მივიდენ და საჭირო იყო მათი შევსება მოწაფეებით.

წელს არსებულ 8 წლიანი შრომის სკოლებს ემატება ერთი ჯგუფი, საცა უნდა მოხვდეს ნაწილი დახურულ ჰუმანიტარულ ტეხნიკუმების მოწაფეებისა. დანარჩენი ჰუმანიტარული ტეხნიკუმები კი გადაკეთებულნი იქნებიან სპეციალურ ტეხნიკუმებათ.

ამგვარად, ჰუმანიტარული ტეხნიკუმები, პროფ. ტეხნიკურ განათლების მთავარ გამგეობის დადგენილებით, დაიხურენ და მათ მაგიერ უკვე მტკიცდება ახალი ტიპი სპეციალურ სასწავლებლებისა.

წელს უკვე გაიხსნა სხვადასხვა ადგილას 7 ახალი სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ტეხნიკუმი.

ამგვარად, წელს ჩვენ გვექნება 24 სპეციალური ტეხნიკუმი.

მათ შორის თბილისში: 2—პედაგოგიური, (ქართული და სომხური), ინდუსტრიალური—1, სასოფლო-სამეურნეო—1, ქიმიური—3 (მათ შორის 1 პროფ. მელიქიშვილის სახელობის), 2—სამრეწველო, 2—ეკონომიური (ქართული და გერმანული) ხონში 1—პედაგოგიური და 1—ინდუსტრიალური; ქუთაისში პედაგოგიური—1, სასოფლო-სამეურნეო—1, სამრეწველო-ეკონომიური—1; ონში (რაჭა)—პედაგოგიური—1; ფოთში—ინდუსტრიალური—1; სამეგრელოში—სასოფლო-სამეურნეო—1; გურიაში—სასოფლო-სამეურნეო—1; ზესტაფონში—ინდუსტრიალური—1; გორში—პედაგოგიური—1, სამეურნეო-ეკონომიური—1; თელავში—პედაგოგიური—1, ბოდბეში—პედაგოგიური—1, კახეთში კიდევ ერთი—სასოფლო-სამეურნეო.

ამგვარად, ახალი გზა სწავლა-განათლების საქმეში ჩვენ დიდ საშუალებას გვაძლევს გავამტკიცოთ სპეციალური ცოდნა საქართველოში—სპეციალურ ცოდნით აღჭურვილ მომუშავეთა შესაქმნელად.

ჩვენი მიზანი უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო ცოდნას მივცეთ ფართო გზა და მას მოვახმაროთ ჩვენი ქონებრივ საშუალების საგრძნობი თანხა.

გ. მ.

კოოპერატორთა მომზადებისათვის

დღეს არ არის საჭირო იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციას ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში. ამისათვის არც ციტატების მოყვანაა საჭირო მარქსიდან, ლენინიდან და სხვ. საკითხი კარგა ხანია გასცდა თეორეტიულ ფარგლებს და მიიღო უაღრესათ პრაქტიკული ხასიათი. პარტია და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევენ კოოპერაციას და უწევენ მას ყოველგვარ დახმარებას. გამოწვეულია ეს იმით, რომ კოოპერატივებს დაკისრებული აქვთ უდიდესი ამოცანების გადაწყვეტა: წვრილი ვაჭრობის სრული დაპყრობა და განდევნა იქიდან კერძო კაპიტალისტებისა. მაგრამ პარტია აძლევს საერთო მიმართულებას კოოპერატივების მუშაობას, უწევს მათ საერთო ხელმძღვანელობას. ყოველდღიური მუშაობა და ბრძოლა კერძო ვაჭრების წინააღმდეგ კი სწარმოებს უშუალოთ კოოპერატიულ მუშაკთა შემწეობით.

ამხ. სტალინმა, თავის მოხსენებაში მეცამეტე ყრილობაზე აღნიშნა, რომ ცეკამ გასულ წელს ვერ გაგზავნა კოოპერატივებში სამუშაოთ საკმაო კადრები პარტიული ამხანაგებისა. ამ ნაკლს ეხლა ჩვენი პარტია ასწორებს. მაგრამ დავსვათ საკითხი ასე: გვყავს თუ არა ჩვენ მომზადებული კოოპერატორები, რომლებიც გაგზავნილნი პარტიის მიერ ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, შესძლებენ დაკისრებული ფუნქციების სათანადოთ შესრულებას? რასაკვირველია, გვყავს, მაგრამ ძლიერ ცოტა. უმეტესი ნაწილი კი უფრო გამოდგება არა როგორც ხელმძღვანელები, არამედ როგორც უბრალო მუშაკები კოოპერაციის დარგში. ამოცანა კი დიდათ სერიოზულია. შეუძლებელია ვაჭრობის სფეროში საჭირო რეალური შედეგები იქნეს გამოღებული, თუ არ გვეყოლა სათანადოთ გამოცდილი და მებრძოლი ამხანაგები. აქ სამხედრო კომუნიზმის მეთოდები გამოუსადეგარია. პირიქით, საჭიროა ყოველდღიური ბრძოლით სულ ახალი და ახალი პოზიციები წაართვა მტერს.

შესაძლებელია თუ არა ამ ამოცანების განხორციელება იმ კოოპერატორების შემწეობით, რომლებიც ეხლა გვყავან? რასაკვირველია, არა. ყველა ჩვენგანი გრძნობს, რომ კოოპერატიულ მუშაკთა კადრი გაძლიერებულ უნდა იქნას ახალი ძალებით. აქ საქმე რაოდენობაში არ არის იმდენათ, რამდენათ ამ მუშაკთა თვისებაში. **ჩვენ გვჭირია დღეს ისეთი კოოპერატორები, რომელთაც მტკიცეთ აქვთ შეგნებული თავიანთი ბრძოლის ამოცანების სირთულე და გათვალისწინებული აქვთ მომავლის პერსპექტივები.** ჩვენთვის გამოუსადეგარია ისეთი კოოპერატორები, რომლებიც აღზრდილია მეორე ინტერნაციონალის პრინციპებზე და რომლებიც ეკუთვნიან ძველ კოოპერატიულ სკოლებს. იმათ არ აქვთ არც პერსპექტივა და ამასთან არ აქვთ შეცნობილი ის ამოცანებიც, რომელთაც დღეს ჩვენ ვუყენებთ კოოპერაციას.

საიდან შეგვიძლია ვიშოვოთ ისეთი კოოპერატორები, რომლებიც იდგომებიან საბჭოთა თანამედროვეობის სიმაღლეზე? ჩვენ გქავს უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ამზადებენ „სპეციალისტ - კოოპერატორებსაც“. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ ვინ არიან ამ „კოოპერატორების“ 99 პროც. ამას წინათ გვქონდა შემთხვევა პოლიტეხნიკუმის წმენდის დროს დავრწმუნებულიყავით ამაში. იმ სტუდენტებმა, რომელთაც სურდათ გამოსულიყვნენ სპეციალისტ კოოპერატორები, არ იცოდენ, თუ რა განსხვავება არის ძველ კოოპერაციას და ახალს შორის. ეს კი მთავარია. უამისოთ სერიოზული მუშაკი ვაჭრობის დარგში წინ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს. მაშასადამე უმაღლესი სასწავლებლები ჩვენს მიზნებს ამ დარგში კიდევ ვერ ემსახურებიან. ამავე დროს ჩვენ არ გვქონია და არც გვაქვს კომერციული სასწავლებელი, სადაც მზადდებიან კომერსანტები. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია კოოპერატორთა მოსამზადებლად კურსების გახსნა. კოოპერაციით ვაჭრობის დაპყრობა—იქნება ლიტონი სიტყვა, თუ არ გვეყოლა მომზადებული კოოპერატიული მუშაკები.

დროულია თუ არა დღეს ამ საკითხის დასმა? ვფიქრობთ, რომ დროულია. ამ წელში იხურება საქართველოში მთელი რიგი ტეხნიკუმებისა. სკოლის გარეთ რჩება როგორც უპარტიო ახალგაზრდობის, ისე კომკავშირელების და პარტიულების ნაწილი. რა იქნებოდა, რომ მათგან ამოგვერჩია საუკეთესოები და გაგვეგზავნა კოოპერატიულ კურსებზე? რა თქმა უნდა ეს დიდ ნაყოფს გამოიღებდა. მაგრამ ისმება საკითხი თვით ამ კურსების, ან სკოლის დაარსების შესახებ. ვინ უნდა იკისროს ეს? ეს საქმე თავის ხელში უნდა აიღონ კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა. მათ უნდა დაარსონ თბილისში კურსები კოოპერატიულ მუშაკთა მოსამზადებლად. პარტია, რა თქმა უნდა, ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ამ კურსებს მომზადებული ამხანაგების გადაგზავნით. სხვა საკითხია დეტალების შემუშავება. პროგრამა, ლექციები და სხვა საკითხები მოგვარებულ იქნება სათანადო კომისიის მიერ. ერთი კი შეიძლება ეხლა გარკვევით ვსთქვათ: ამ კურსების პროგრამაში ცენტრალური ადგილი უნდა ეჭიროს ვაჭრობის, აღებ-მიცემობის შესწავლის საქმეს და კოოპერატივების როლს ამ საქმეში. თეორეტიული ნაწილი, რასაკვირველია, იქნება, მაგრამ სკოლას ამით სრულებითაც არ დაეკარგება პრაქტიკული ხასიათი.

ყოველწლიურად, დავუშვათ, ამ კურსებმა რომ მოგვცეს 50 მომზადებული ამხანაგი—მარქსისტი კოოპერატორი, ამით სწრაფი ნაბიჯით წავა წინ კოოპერაციის განვითარების საქმე ჩვენში. ამოცანას დამკვრელი ხასიათი აქვს. ვფიქრობთ, დაინტერესებული ეკონომიური ორგანიზაციები ყურადღებას მიაქცევენ ამ საკითხს და დასვამენ მას პრაქტიკულად გადასაჭრელათ. ამ საქმეზე დახარჯული თვითეული კაპეიკი არ იქნება ტყუილ-უბრალოთ დაკარგული, წყალში გადაგდებული. ის მოგვცემს ჩვენ საშუალებას—შევქმნათ მებრძოლი გვარდია კოოპერატორებისა, კერძო ვაჭრობის წინააღმდეგ, ჩვენი პოზიციების ამ სფეროში გასამაგრებლად.

ქ. ორაგველიძე.

შენიშვნები

თარგმანების შესახებ

საბჭოთა ხელისუფლების დროს საგამომცემლო საქმე ძალიან ფართედაა ჩვენში დაყენებული. ამ მხრივ შედარებაც არ შეიძლება მენშევიკების ბატონობის ხანასთან. მათ, რომელთაც მარქსისტებად მოაქვთ თავი, არც კი უფიქრიათ მარქსისტულ ლიტერატურის გამოცემა-გავრცელებაზე. მწერლობის არც სხვა დარგების შექმნა-გამოცემაში გამოუჩენიათ ფხა და უნარი.

დღეს კი არსებითად სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. გარდა პედაგოგიურ, სამხატვრო და სხვა ხასიათის ნაწერებისა, გამოდის დიდძალი ლიტერატურა მარქსისტული შინაარსის. მრავალ პოპულიარულ წიგნაკებთან ერთად დაიბეჭდა ან მზადდება გამოსაქვეყნებლად ფრიად სერიოზული, მეცნიერული ნაშრომები. მათი ჩამოთვლა დიდ ადგილს დაიკავებდა. შეიხედეთ წიგნის მაღაზიებში და დარწმუნდებით, თუ რა დიდი მუშაობა გაწეული ამ სფეროში.

გასაგებია, რომ აქ ლიტერატურის მეტი წილი გადმოთარგმნილია.

ქართველ მუშას და გლეხს ვაწვდით გონებრივ საზრდოს მათთვის გასაგებ, მშობლიურ ენაზე.

ამავე დროს თარგმანებით მდიდრდება ქართული მწერლობა, ამგვარად კეთდება დიდი მნიშვნელობის ეროვნულ-კულტურული საქმე.

ჩვენ გვინდა მხოლოდ ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას, სახელდობრ თარგმანების ღირსება-ნაკლულევანებას.

არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყოს. ზოგი თარგმანი ძალზე მოისუსტებს. აზრი აქა-იქ დამახინჯებულია. არ არის დაცული ქართული ენის თავისებურობანი. სტილი ულაზათოა. ამის დამადასტურებელი ნიმუშები არაერთხელ ყოფილა გამოქვეყნებული გაზეთების ფურცლებზე.

თარგმნა ძნელი და რთული საქმეა, მთარგმნელს მოეთხოვება საფუძვლიანი ცოდნა როგორც იმ ენის ბუნების, რომელზედაც თარგმნის, აგრეთვე იმ ენის, რომლიდანაც თარგმნის, ამასთან შეჩვევა, პრაქტიკა და ლიტერატურული განათლება;გარდა საერთო მომზადებისა, მთარგმნელმა საკმაო საფუძვლიანად უნდა იცოდეს ის საგანი, რომელსაც შეეხება სათარგმნად აღებული ნაშრომი. მარქსისტული წიგნების მთარგმნელს უეჭველად უნდა ჰქონდეს მარქსისტული მომზადება. წინააღმდეგ შემთხვევაში ავტორის აზრების დამახინჯება აუცილებელია და თავიდან ვერ ავიცილებთ ისეთ კურიოზებს, რომლებსაც ბლომად ვხვდებით ნათარგმნ ლიტერატურაში (მაგ. „გოტის პროგრამის კრიტიკა“ში მთარგმნელი სიტყვა „იდეალისტურის“ მაგივრად ხმარობს „იდეოლოგიურს“, და მრავალი სხვა).

თარგმანების ღირსებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება დამუშავებული, ყველასათვის სავალდებულო ტერმინოლოგია. რევოლიუციამ ახალი ცნობები და სიტყვები წარმოშვა. მრავალი სიტყვა შემოკლებით იხმარება. ქართულ ენაშიც უნდა შეიქმნას შესაფერი ტერმინები და გამოთქმანი. ამ მხრივ დიდ დომხალს აქვს ადგილი. ერთი მთარგმნელი რომელიმე სიტყვას ერთნაირად თარგმნის, მეორე—სხვანაირად, მესამე კიდევ თავისებურად. ხშირად ერთი და იგივე მთარგმნელიც ვერ იცავს ერთგვარობას.

თავის დროზე ჩვენ გამოქვეყნებული გვქონდა ცნობა, რომ ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან მუშაობს სატერმინოლოგიო კომისია. სასურველია, რომ ამ კომისიამ რაც შეიძლება მალე დაასრულოს მუშაობა და გამოუშვას სიტყვარი.

მაგრამ ლექსიკონის გამოცემა მაინც ვერ სწყვეტს საბოლოოდ საკითხს.

მთავარია თვით მთარგმნელების შერჩევა. ყველას უნდა თარგმნაზე „ხელი მოითხოს“. ვინ გინდათ, რომ არ ეტანებოდეს დღეს ამ „პროფესიას“.

ეს საქმე უნდა დავაკისროთ მხოლოდ იმათ, ვისაც ამისათვის ძალა შესწევს. აქ არ უნდა ექნეს ადგილი „ქველმოქმედებას“ და „ნათლიმამობას“.

აგრეთვე საჭიროა სერიოზულ წიგნების სათარგმნელად შემოღებულ იქნეს კონკურსების სისტემა.

ისიც არ იქნება უსარგებლო, რომ გადმოთარგმნილ წიგნებზე იყოს აღნიშნული რედაქტორის და მთარგმნელის ვინაობა. ეს გააძლიერებს უკანასკნელთა პასუხისმგებლობას და აიძულებს მათ უფრო გულდასმით შეასრულონ დაკისრებული საქმე.

ასეთი ღონისძიებებით ჩვენ ბოლოს და ბოლოს მოვახერხებთ თარგმანის ღირსების აწევას შესაფერ სიმაღლემდე.

გ. ქ.

მოკავშირეთა კონფერენციაზე

საფრანგეთი თანახმაა რურის ევაკუაციაზე მხოლოდ ორი წლის ვადაში

გაზეთების ცნობით კონფერენციის მუშაობა დიდხანს გაგრძელდება

გერმანია მიწვეული იქნება კონფერენციაზე მხოლოდ მოკავშირეთა შეთანხმების შემდეგ

ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგ. მოლაპარაკებას განაგრძობენ შეთანხმების მისაღწევად

შეთანხმების ახალი ცდა

ლოგანის ფორმულა.

ლონდონი, 30 ივლისი. ამერიკელ დელეგატის ლოგანის შემათანხმებელი ფორმულა არ მოიწონა ბრიტანეთის დელეგაციამ. მოელიან ახალ ფორმულის წარმოდგენას, ამ უკანასკნელ ფორმულას იმუშავებს საფრანგეთის დელეგაცია.

საფრანგეთის ფორმულა.

პარიზი, 30 ივლისი. როგორც ლონდონიდან იუწყებიან საფრანგეთის ახალი ფორმულა აწესრიგებს ყველა სადაო საკითხებს. ფორმულაში აღნიშნულია, რომ **საფრანგეთს უნდა მიეცეს 2 წლის ვადა რურის სამხედრო ევაკუაციის მოსახდენად.** ფორმულაში რურის ევაკუაციის საკითხი დაკავშირებულია ბრიტანეთის ჯარების მიერ კელნის ზონის ოკუპაციის საკითხთან.

პარიზი, 30 ივლისი. როგორც ლონდონიდან იუწყებიან, საფრანგეთის დელეგაცია იმუშავებს შემათანხმებელ ფორმულას გერმანიის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის და სანქციების შესახებ. საფრანგეთის დელეგაცია სცდილობს მისცეს კანონიერი გარანტიები სესხის მონაწილეებს და სასტიკად ადევნებს თვალყურს, რათა არავითარ შემთხვევაში არ იქნას დარღვეული ვერსალ ს ხელშეკრულება.

როდის მიიწვევენ გერმანიას

ლონდონი, 30 ივლისი. მეორე კომისიის დასკვნა გერმანიის ეკონომიურ მთლიანობის აღდგენის შესახებ მოწონებული იქნა კონფერენციის პლენარულ სხდომაზე. საკითხი რურში საფრანგეთ-ბელგიის რკინისგზელების დატოვების შესახებ ღიათ დარჩა.

ლონდონის წრეების აზრით, **გერმანია მიწვეული იქნება მის შემდეგ, რაც მოკავშირეები შეთანხმდებიან ყველა მთავარი საკითხებში.** სხვადასხვა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო, კომისიის მუშაობა კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდება.

კომისიების მუშაობა

მეორე კომისიაში.

ნაუენი. 30 ივლისი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად მეორე კომისიის მოხსენება მცირე შესწორებით იქნა მიღებული.

სარეპარაციო კომისიაში.

როგორც ფიქრობენ სარეპარაციო კომისია გაწვეული იქნება ლონდონში მთელი თავისი შემადგენლობით კონფერენციასთან ერთად სამუშაოთ [illegible] ლონდონში ოთხშაბათს.

განმარტების კომისიაში.

ახლად დაარსებულ განმარტების მიმცემი კომისია, რომელშიაც შევიდენ თითქმის ყველა დიდ სახელმწიფოების წარმომადგენლები, შედგენილია იმ მიზნით, რათა მიაწოდოს კონფერენციას დოუესის გეგმის ყველა მუხლების კანონიერი განმარტება.

14 მუხლი.

ლონდონი. 29 ივლისი. მოკავშირეთა კონფერენციაზე ჯერ კიდევ არ არის მიღწეული შეთანხმება საკითხზე: შეუძლია თუ არა საფრანგეთს იხმაროს სანქციები სხვა მოკავშირეთაგან დამოუკიდებლად. ექსპერტები ყოველ ძალ-ღონეს ხმარობენ შესაფერ ფორმულის გამოსანახავად. კონფერენციაზე გერმანიის მოწვევის საკითხის შესახებ, **კომისიამ, რომელიც ამ საკითხს იხილავდა, წარადგინა 14 მუხლისაგან შემდგარი მოხსენება.** პირველ 6 მუხლში აღნიშნულია, რატომ უნდა იქნას მიწვეული გერმანია კონფერენციაზე, დანარჩენი მუხლები იყოფა სამ ჯგუფად: პირველი ეხება იმ ზომებს, რომელიც გერმანიამ უნდა მიიღოს დოუესის გეგმის განსახორციელებლად, მეორე ეხება ზომებს, რომელიც მოკავშირეებმა უნდა მიიღონ გერმანიის მიმართ, მესამე ჯგუფი ეხება ზომებს, რომელთა შესახებ უნდა იქნას მიღწეული შეთანხმება თვით მოკავშირეთა შორის. ამავე ჯგუფში შედის საკითხი სანქციების შესახებ. ეს განაწილება ამტკიცებს იმას რომ საფრანგეთმა ხელახლა გაიმარჯვა: სანქციების საკითხი უნდა განიხილონ მხოლოდ მოკავშირეებმა, ხოლო დოუესის გეგმის შესრულების საკითხი უნდა განიხილოს გერმანიამ და **სარეპარაციო კომისიამ, რომელშიაც ფრანგებს ჰყავთ უმრავლესობა.**

სარეპარაციო კომისიაში

სარეპარაციო კომისიის თათბირი.

ნაუენი. 30 ივლ. კონფერენციის მუშაობის გამო, სარეპარაციო კომისიის თავმჯდომარემ ბარტუმ მოიწვია პარიზში სარეპარაციო კომისიის საგანგებო სხდომა. ფიქრობენ, რომ სარეპარაციო კომისია მთელი თავისი შემადგენლობით გაემგზავრება ლონდონში ოთხშაბათს.

ამერიკის წარმომადგენლის წინადადება.

პარიზი. 29 ივლ. ჰავასის სააგენტოს ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ კონფერენციის პირველ კომისიაში ამერიკელმა ზედამხედველმა პოლკოვნიკმა ლოგანმა წინადადება შეიტანა კომისიის მიერ შემუშავებულ რეზოლიუციის პროექტს დაემატოს დადგენილება იმის შესახებ, რომ **გერმანიის მთავრობა** და სარეპარაციო კომისია ნიშნავენ წარმომადგენლებს ბანკირებთან მოლაპარაკების საწარმოებლად. მოლაპარაკების საგანს შეადგენს გერმანიისათვის მისაცემ სესხის პირობების საკითხში საერთო შეთანხმების მიღწევა. საფრანგეთის ექსპერტებმა პრინციპიალურად მიიღეს წინადადება, რომელიც მათი აზრით, შეთანხმებულია ვერსალის ხელშეკრულებასთან, რომელიც სარეპარაციო კომისიას ანიჭებს უფლებას მიავლინოს თავისი რწმუნებულები და სხვადასხვა ქვეყნებს მიანიჭოს უპირატესი უფლებები გერმანიის გადასახადებზე. **მაგრამ ექსპერტთა კომისიის ინგლისელმა წევრმა და ფინანსთა მინისტრმა სნოუდენმა გაილაშქრეს ამ წინადადების წინააღმდეგ.**

სესხის საკითხი

ნაუენი. 30 ივლისი. ლონდონიდან მიღებულ ცნობის თანახმად კონფერენციას წარედგინება სესხის გარანტიის 3 საშუალება: პირველი საშუალება—ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოების საერთო გარანტია, მეორე საშუალება—გარანტიების მიცემა თვითეულ იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც ინდივიდუალურად აწესებს სანქციებს,მესამე—სესხის გარანტიას კისრულობენ იმ სახელმწიფოების ბანკები, რომლებიც მიმართავენ ინდივიდუალურ სანქციას. როგორც იუწყებიან ინგლისის წრეებმა მხარი დაუჭირეს პირველ საშუალებას, რომელიც მათი აზრით, ითვლება საუკეთესო გარანტიად სესხის ობლიგაციების მეპატრონეთათვის.

ერთ წერტილზე

ლონდონი, 30 ივლისი. ლონდონის კონფერენციის მუშაობის მიმდინარეობაში არაფერი მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. მოკავშირეთა დელეგაციების მეთაურებს 29 ივლისს, დილით ჰქონდათ თათბირი, რომელიც დაახლოვებით 3 საათი გაგრძელდა.

ამ დღესვე შესდგა იურისტების გაფართოებული კომისიის სხდომა, რომელსაც მინდობილი აქვს საფრანგეთ-ბრიტანეთის 9 ივლისის მემორანდუმის ზოგიერთ მუხლების განხილვა.

ხვალ, როგორც ფიქრობენ, შესდგება ყველა 3 კომისიის სხდომა, თუმცა მათ ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ თავისი მუშაობა.

პრესა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა პირველ კომისიის მუშაობას. ამ კომისიამ უნდა გადასჭრას ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ბანკირებთან შეთანხმების შესახებ. პირველ კომისიის სხდომა შესდგება აგრეთვე ხვალ და, ფიქრობენ, რომ იგი განიხილავს საფრანგეთის ახალ შემათანხმებელ ფორმულას.

„ახალი“ ფორმულა.

იუწყებიან, რომ საფრანგეთის დელეგაცია დღეს იმუშავებს ამ ფორმულას, ამასთანავე იგი მხედველობაში იღებს როგორც ტუნისის უკანასკნელ ფორმულას, ისე ამერიკის დელეგატის ლოგანის ფორმულას.

ჯერ კიდევ არ მოსულა ოფიციალური ცნობა ლოგანის ფორმულის შინაარსის შესახებ. გაზეთების ცნობით კი ფორმულის თანახმად ბანკირებთან მოლაპარაკება ყველა სადაო საკითხების შესახებ უნდა [illegible] გერმანიის მთავრობამ და სარეპარაციო კომისიამ. მაგრამ, როგორც იუწყებიან, კონფერენციის მიერ გადაუჭრელ პოლიტიკურ საკითხების გადაცემა სარეპარაციო კომისიისათვის მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ.

ხვალ გაიმართება აგრეთვე მესამე კომისიის სხდომა და ეს იქნება, როგორც ფიქრობენ უკანასკნელი სხდომა, ვინაიდან ამ კომისიამ თავისი მუშაობა თითქმის დაასრულა.

უშედეგო სხდომა.

ბერლინი, 29 ივლისი. **ლონდონის კონფერენციის გუშინდელი სხდომა თითქმის უშედეგოთ დამთავრდა, ვინაიდან კომისიების მუშაობა ზანტად [illegible].** რაც შეეხება გერმანიის მოწვევის საკითხს, მისი გადაჭრა მინდობილი აქვთ 5 მოკავშირე დელეგაციის მეთაურს.

ერრიო დათმობაზე მიდის?

რომი, 30 ივლისი. „დეილი ტელეგრაფმა“ უძღვნა ერრიოს წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ **ერრიოს გადაწყვეტილი აქვს დაუბრუნდეს მემარცხენე პოლიტიკას და მზადაა დაუშვას კონფერენციაზე გერმანიის დელეგაცია** და მასთან ერთად განიხილოს რურის ეკონომიურ ევაკუაციის საკითხი. გაზეთი იუწყება, რომ **ერრიო, ვითომდა მზად არის მიიღოს** ბრიტანეთის თვალსაზრისი. ამ თვალსაზრისით **რურის ოკუპაცია ითვლება უკანონო გამოსვლათ,** ვერსალის ხელშეკრულების საწინააღმდეგო ნაბიჯათ. ინგლისის საზოგადოებრივი აზრი ფიქრობს, რომ რურის ევაკუაცია არის გერმანიის აღდგენის და მშვიდობიანობის დამყარების ერთად-ერთ საშუალება.

როდის დამთავრდება კონფლიქტი

პარიზი, 28 ივლისი. პოლიტიკურ საქმიან წრეებში დარწმუნებული არიან, რომ **ლონდონის კონფერენცია კიდევ დიდხანს გაგრძელდება.** ოფიციალური პრესა სცდილობს გამოიჩინოს ოპტიმიზმი. მაგრამ როგორც **„იუმანიტე“** აღნიშნავს, მდგომარეობა იმდენად ნათელია, რომ **„დემოკრატიულ“ მთავრობასაც აღარ ძალუძს დაფაროს კაპიტალისტური წინააღმდეგობა, რომელიც ხელს უშლის მშვიდობიანობის დამყარებას** და რომ შეერთებულ შტატების გეგემონია მთელ ევროპაში, გარდა საბჭოთა კავშირისა დღითი-დღე იზრდება.

იუზის ო[illegible]

ნაუენი, 30 ივ[illegible] ვიდა იუზი, რო[illegible] მომადგენლებს [illegible] ოპტიმისტურად [illegible] კონფერენციის [illegible] რეობას, ვინაიდა[illegible] ჩაშლა დიდი [illegible] და მხოლოდ ამის [illegible] გადასვლით [illegible] დელეგაციებს წარმატ[illegible]ლოს კონფერენციის მუშაობა.

„ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით იუზი ამ კვირის დამლევს ჩავა ბერლინში.

თეთრგვარდიელთა პრესა

ხლესტაკოვები

ესერების გაზეთ „დენ“-ში, რომელიც ბერლინში გამოდის, მოთავსებულია კორესპონდენცია ნიუ-იორკიდან ასეთი სათაურით: „ხლესტაკოვი ამერიკაში“.

როგორც ავტორი სწერს, ამერიკაში ჩასულა ვინმე ანდრეი მოსკვინოვი, რომელიც ასაღებს თავის თავს „სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის“ წარმომადგენლათ. ამ „წარმომადგენლის“ სიტყვით ეს „კავშირი“ აერთებს რუსეთის გლეხობის 40 პროცენტს და სარგებლობს ამას გარდა კიდევ 35 პროცენტის თანაგრძნობით.

დანარჩენ 25 პროცენტს მთელი რუსეთის გლეხობისას მოსკვინოვი ანაწილებს ასე: 10 პროცენტს შეადგენენ კომუნისტები, კიდევ ათს „ნეიტრალური“ ელემენტები, ხოლო ხუთი პროცენტი გლეხობიდან დანაწილებულია სხვადასხვა პარტიებს შორის, რაც შეეხება ბოლშევიკების მთავრობას, ის უნდა ჩამოვარდეს, ამ ახალ მოვლენილი ხლესტაკოვის აზრით, „ან მომავალ შემოდგომაზე ან გაისათ გაზაფხულზე“, შემდეგ შეიკრიბება საერობო ყრილობაო.

„ჩვენ ვარწმუნებთ ამერიკის მთავრობასა და ხალხს—აცხადებს ნიუ-იორკის გაზეთებში ანდრეი მოსკვინოვ-ხლესტაკოვი,—რომ, როგორც შეიკრიბება გლეხების საერობო ყრილობა და შეადგენს თავის მთავრობას, ის მაშინვე იცნობს მეფის და დროებითი მთავრობის მიერ აღებულ ვალებს და ყველაზე ადრე ამერიკას გაუსწორდება“.

„ხოლო სანამ ეს მოხდებოდეს—სწერს კორესპონდენტი, ამ ბედნიერი მომავლის მოლოდინში მოსკვინოვი მიმართავს ამერიკელებს თხოვნით აღმოუჩინონ მას ფულით დახმარება“-ო.

სასაცილოა ამ ამბავში არა მარტო ის, რომ ქვეყანაზე მოიპოვებიან ორფეხნი, რომლებიც ასეთ აბდაუბდას ლაპარაკობენ და აბერხებენ გაზეთების ფურცლებზეც მის გამოფენას, არამედ ისიც, რომ კიდევ არიან ისეთი წრეები თუ გინდ შორეულ ამერიკაშიც, რომელთათვის მისაღები ხდება ასეთი ცნობების მოსმენა. სხვანაირათ როგორ მოახერხებდა „რუსეთის გლეხობის“ ეს „წარმომადგენელი“ თავისი მიზნები ეცნობებია ამერიკის „ხალხისთვის“.

ყოველივე ეს რომ შუმი ხლესტაკოვშჩინა არის—ეს ცხადია ყველასათვის და თვით ესერებისათვისაც. მაგრამ, რითი ჩამოუვარდებიან ნიუ-იორკელ ხლესტაკოვს ბერლინელი ხლესტაკოვები ესერების ბანაკიდან, რომლებიც არა ნაკლებ აბდაუბდას ავრცელებენ რუსეთის, ბოლშევიკების და სხვათა შესახებ? სრულიად არაფრით. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ნიუ-იორკელმა ხლესტკომა მოახერხა ამერიკის გაზეთებს მოეთავსებიათ თავიანთ ფურცლებზე ეს სისულელეები, ხოლო ევროპაში და კერძოთ ბერლინში მყოფი ხლესტაკოვები ამას ველარ ახერხებენ ევროპის პრესაში და მხოლოთ თავიანთ საკუთარ გაზეთებს თუ ამოავსებენ მსგავსი „ამბებით“ რუსეთის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

აგვისტოს დაიწყება მოლაპარაკება იაპონიასთან

იო, 30 ივლისი. მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის დაიწყება 10 აგვისტოს. გაზეთების უმრავლესობა კმაყოფილებას გამოსთქვამს მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის მიმართ ახალი კურსის აღების გამო და იმედს გამოსთქვამს, რომ მოლაპარაკება ახლა დადებითი შედეგებს გამოიღებს.

გაზეთ „ასაკა მაინიჩი“-ს ცნობით, იაპონიის სამხედრო სარდლობამ 5 სამხედრო ტრანსპორტი მოამზადა სახალინის რუსეთის ნაწილიდან ჯარის გამოსაყვანად და სამხედრო მასალის გადმოსაზიდათ.

ფრანგ ბანკირების მემორანდუმი

ლონდონი, 30 ივლისი. „ტაიმს“-ის ცნობით, რაკოვსკიმ ლონდონიდან გამგზავრების წინ სთხოვა ფრანგ დელეგატებს გაეცნოთ მისთვის სხვადასხვა მისიის მემორანდუმი. კომისია შედგენილი იყო საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის განახლების საკითხის დასამუშავებლად. გაზეთის ცნობით, მემორანდუმი გადაეცა რაკოვსკის და შეიცავს კომისიის დასკვნებს, რომლებიც ეყრდნობა ფრანგ ბანკირების, რუსეთის ფასიანი ქაღალდების მეპატრონეთა და ნაციონალიზაციაქმნილ წარმოებათა ყოფ. პატრონების დეკლარაციას. მემორანდუმში შეტანილია აგრეთვე ზოგიერთი პირობები, რომლებიც წამოაყენა ინგლისის დელეგაციამ ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციაზე.

პირველი სესხი გერმანიას.

ნიუ-იორკი. 30 ივლ. ამერიკის ბანკების ერთმა ჯგუფმა გერმანიის შაქრის მრეწველობას მისცა სესხი 4.000.000 დოლარის რაოდენობით. სესხი უზრუნველყოფილია გერმანიის შაქრის ქარხნების პროდუქციით.

დამსჯელი საჰაერო რაზმის დაღუპვა.

ლონდონი. 30 ივლ. ინგლისის მთავრობის მიერ ინგლისისადმი მტრულად განწყობილ სპარსულ ტომების დასასჯელად გაგზავნილი 8 აეროპლანი დაიღუპა. ჰაეროპლანები ყუმბარებს უშენდნენ მტრულათ განწყობილ ტომებს რაგზაკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. ორ ჰაეროპლანზე მოკლეს ოფიცრები, მეხანიკოსი და ჯარისკაცები, მესამე მანქანა ხელში ჩაუვარდა ვაზირების ტომს. ფიქრობენ, რომ მგზავრები, რომელთა შორის იყო ავიო-რაზმის უფროსი, ჰაეროპლანების დამტვრევის დროს ძლიერ დაშავდენ. მეოთხე ჰაეროპლანი გადარჩა.

აჯანყება ბრაზილიაში.

ბერლინი. 30 ივლ. ბრაზილიიდან მიღებული უკანასკნელი ცნობებით აჯანყებულები დამარცხდნენ. აჯანყებულთა ნაწილები, სურსათის უქონლობის გამო დანებდენ მთავრობის ჯარებს. სან-პაბლო აიღო მთავრობის ჯარებმა ხანგრძლივი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ.

საშინელი წყალდიდობა ჩინეთში

დაზარალდა 2 მილიონი მცხოვრები.

ბერლინი. 30 ივლ. ჩინეთიდან მიღებული ცნობით, იქ დიდი წყალდიდობაა. წყალდიდობამ კატასტროფის ხასიათი მიიღო. მრავალი ასეული სოფელი წყალმა დაფარა. 2.000.000 კაცი უთავშესაფაროდ დარჩა.

მდგომარეობის გართულება რუმინეთში.

ბერლინი. 30 ივლ. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობებით რუმინეთში სასტიკი ცენზურა არის შემოღებული. მდგომარეობა რთულდება.

საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში დიდ შიშს გამოსთქვამენ რუმინეთში და ბულგარეთში მდგომარეობის გართულების გამო.

თეთრგვარდიელებს მიერეკებიან

სტამბოლი, 30 ივლისი. ოსმალეთის შინაგან საქმეთა კომისარიატმა გამოაქვეყნა რეგლამენტი რუს თეთრგვარდიელების მიერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შესახებ ოსმალეთის ტერიტორიაზე. თეთრგვარდიელებს სრულიად აკრძალული აქვთ თავის საქმეებზე ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლა. თეთრგვარდიელებს შეუძლიათ მოგზაურობა მხოლოდ ოსმალეთის ორგანიზაციების დავალებით და ოსმალეთ მოქალაქეთა თავდებობით. თეთრგვარდიელებს აკრძალული აქვთ სხვა ქვეყნებიდან ოსმალეთში ჩამოსვლა. თუ საჭიროებამ მოითხოვა, ოსმალეთის შინაგან საქმეთა კომისარიატს უფლება აქვს სტამბოლში მცხოვრები რუსი თეთრგვარდიელები ოსმალეთის სხვა ადგილებში გადაასახლოს.

რურის საკითხი

სურთ დასტოვონ რური.

პარიზი, 29 ივლისი. ჰავასის სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან, რომ რურის ევაკუაციის საკითხი ოფიციალურად არ ყოფილა და არც იქნება დასმული კონფერენციაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირე მინისტრებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი აზრი ამ საკითხზე. საფრანგეთის დელეგაცია სრულიადაც არ ხედავს რურის ევაკუაციის დაუყოვნებლივ მოხდენის საჭიროებას. საფრანგეთი თანახმაა გაიყვანოს ჯარები კარგა დიდი ხნის შემდეგ და ისიც ნაწილ - ნაწილად. ყოველ შემთხვევაში, სანამ რაიმე გადაწყვეტილება იქნებოდეს მიღებული. ერრიო შეეკითხება საფრანგეთის სამხედრო წრეებს.

რურის ევაკუაციის გარშემო.

პარიზი. 29 ივლისი, პოლიტიკურ წრეებში მხურვალე მსჯელობაა იმ წინადადების შესახებ, რომელიც, ჰავასის სააგენტოს ცნობებით მაკდონალდმა გაუგზავნა ერრიოს; ამ წინადადების თანახმად, საფრანგეთმა უნდა დასცალოს რური, რის ნაცვლად კონფერენცია იცნობს საფრანგეთის უფლებას დამოუკიდებელ გამოსვლაზე გერმანიის წინააღმდეგ, იმ შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

„ეკო-დე-პარი“ და „ეკლერ“-ი ილაშქრებენ რურის ევაკუაციის წინააღმდეგ. მემარცხენე პრესა და ზოგიერთი მსხვილი ინფორმაციული გაზეთები საზოგადოებრივ აზრს ამზადებენ ამ აუცილებლობისათვის. მემარცხენე პრესა აცხადებს, რომ პუანკარე თანახმა იყო რურის ევაკუაციაზე, თუ საფრანგეთს მიეცემოდა სხვა გარანტიები.

„ტან“-ი მოითხოვს დოუესის გეგმის განხორციელებას.

„ერ ნუველ“-ი სცდილობს აიძულოს ერრიო გაწყვიტოს კავშირი პუანკარეს პოლიტიკასთან. მაგრამ ემზადებიან რა რურის ევაკუაციისათვის, საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებს სურთ ამისაგან შექმნან გადასახადების მიღების ახალი საშუალება; ისინი სცდილობენ, რომ რურის ევაკუაციის ნაცვლად გადაწყვეტილი იქნეს საკითხი მოკავშირეთა ვალებისა და საფრანგეთის უშიშროების გარანტიების შესახებ.

ბანკირების თათბირი

ნაუენი. 30 ივლისი. ლონდონში 29 ივლისს გაიმართა ამერიკელ, ბრიტანელ, ფრანგ და სხვა მოკავშირეთა სახელმწიფოების ბანკირთა კრება, იმ მიზნით, რათა მიღწეული ყოფილიყო შეთანხმება გერმანიისათვის მისაცემ სესხის პირობების საკითხში. ამერიკის და ბრიტანეთის თვალსაზრისი რურის ევაკუაციის საკითხზე თითქმის ერთნაირია. ამ თვალსაზრისით რურის სამხედრო და ეკონომიური ევაკუაცია ერთსა და იმავე დროს უნდა მოხდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ რაკი ფრანგები მოახდენენ რურის ევაკუაციას, ეს ევაკუაცია უნდა იყოს სრული.

ერრიო სამართლიანობას იცავს

პარიზი 30 ივლ. ერრიომ მიმართა დეპუტატთა პალატას და სენატს დეპეშით, რომელშიაც ნათქვამია, რომ მთავრობას სურდა დღეს წარედგინა პალატისათვის მიღწეულ შეთანხმების სრული ტექსტი, რომელზედაც ის მუშაობს ორი კვირის განმავლობაში, მაგრამ, მიუხედავად ყოველგვარ ღონისძიებისა, მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და მთავრობას არ აქვს საშუალება მოხსენება წარუდგინოს პალატას.

ლონდონში, საფრანგეთის კოლონიის მიერ გამართულ სადილზე, ერრიომ განაცხადა, რომ საფრანგეთი ილტვის მშვიდობიანობისაკენ, მაგრამ საფრანგეთის მთავრობა ფიქრობს, რომ ისეთი მშვიდობიანობა, რომელიც არ დაიცავს საფრანგეთის უფლებებს, არ იქნებოდა სამართლიანი, ხოლო უსამართლობაზე არაფრის დამყარება არ შეიძლება.

პრესა კონფერენციის შესახებ

საფრანგეთის პრესის აზრი.

პარიზი. 30 ივლისი. პარიზის პრესა მთავარ ყურადღებას აქცევს საკითხს რურის ევაკუაციის შესახებ.

„პტი პარიზიენი“ ამბობს, რომ „რურის ევაკუაცია დამოკიდებულია თვით გერმანიის თავისუფალ სურვილზე მიიღოს ზოგიერთი მთავარი ვალდებულებანი.

„ეკო-დე-პარი“ აკრიტიკებს მოლაპარაკების მიმდინარეობას

„ერ ნუველი“ ფიქრობს, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა მიღწეულ იქნას შეთანხმება პოლიტიკურ საკითხში და შემდეგ იქნას შემუშავებული ეკონომიური ხასიათის დებულებანი.

„პტი-ჟურნალი“-ის ცნობით, იტალიის მთავრობა იმუშავებს წინადადებას მოკავშირეთა ვალების შესახებ.

გერმანიასთან კონფლიქტი მოგვარებულია

ბერლინი. 29 ივლისი. დღეს ვარეშე საქმეთა საიმპერიო სამინისტროში ხელმოწერილი იქნა ოქმი, რომლითაც ამოწურულად ითვლება საბჭოთა კავშირის და გერმანიის შორის მომხდარი კონფლიქტი საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის შენობის გაჩხრეკის გამო. იუწყებიან, რომ საბჭოთა ელჩი კრესტინსკი შეუდგება თავის მოვალეობის შესრულებას მახლობელ დღეებში.

შეთანხმება ხელმოწერილია

ბერლინი 29 ივლისი. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის მრჩეველმა გერმანიაში ბროდოვსკიმ და შტრეზემანმა ხელი მოაწერეს ოქმს საბჭოთა კავშირის და გერმანიის შორის არსებულ კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ. ამით კონფლიქტი სავსებით მოგვარებულია.

გერმანიის მთავრობა აღიარებს შეცდომას

მოსკოვი. 30 ივლისი. ბროდოვსკის და შტრეზემანის მიერ ხელმოწერილ ოქმში საბჭოთა კავშირის და გერმანიის კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ, გერმანიის მთავრობა აღიარებს, რომ ბერლინის პოლიციის მოქმედება, რომელიც მიმართული იყო სავაჭრო წარმომადგენლობის წინააღმდეგ, ითვლება გერმანიის პოლიციის თვითნებობად. ბოლენგარდტის გაქცევა არ შეიძლება ჩაითვალოს ასეთი გამოსვლის საფუძვლად. გერმანიის მთავრობამ გადააყენა თანამდებობიდან ამ გამოსვლის ხელმძღვანელები და პასუხისგებაში მისცა ყველა დამნაშავე პირნი. გერმანიის მთავრობა აცხადებს, რომ ის მზადაა აანაზღაუროს ამ გამოსვლით მიყენებული მატერიალური ზარალი და აღიარებს სავაჭრო წარმომადგენლობის ექსტერიტორიალობის უფლებას.

დამოკიდებულება ინგლისთან

მთავრობის ორგანო საბჭოთა კავშირთან შეთანხმების შესახებ.

ლონდონი. 29 ივლისი. მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი“ აღნიშნავს, რომ შეთანხმება საბჭოთა კავშირთან და სავაჭრო ხელშეკრულების ხელის მოწერა მოხდება პარლამენტის მუშაობის შეწყვეტამდე. „ძალიან საეჭვოა, რომ სიტიმ (ლონდონის ფინანსიური უბანი) გაანაღდოს სესხი, მაგრამ სესხის გარეშე არ შეიძლება მიღწეული იქნას რაიმე შეთანხმება“—ამბობს გაზეთი. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს რუსეთის ბაზრის მნიშვნელობას ბრიტანეთის მრეწველობისათვის და აცხადებს, რომ მუშათა მთავრობა უნდა მიუდგეს რუსეთის საკითხს არა კონსერვატორების ან რადიკალების თვალსაზრისით და აქედან გაზეთს გამოჰყავს დასკვნა. რომ სესხის გარანტია უნდა მისცეს თვით მთავრობამ იმ მიზნით, რათა საბჭოთა მთავრობის მხრივ მიღებული სათანადო უზრუნველყოფა. „საუკეთესო უზრუნველყოფად ითვლება, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის კეთილსინდისიერება, ხოლო საბჭოთა სახელმწიფოს ეს კეთილსინდისიერება დამტკიცებულია იმით, რომ, მიუხედავათ საშინელი მემკვიდრეობისა, რომელიც მან მიიღო მეფის მთავრობისაგან, საბჭოთა კავშირი თანახმაა ანგარიშები გაუსწოროს კრედიტორებს, ჩვენ უნდა დავაფასოთ ეს კეთილსინდისიერება იმით, რომ დავივიწყოთ ძველი ანგარიშები და დახმარება გაუწიოთ საბჭოთა კავშირს“.

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ეს წერილი გამოხატავს არა მარტო მუშათა კლასის, არამედ მუშათა კაბინეტის თვალსაზრისს.

ამხ. რაკოვსკის განცხადება

დამოკიდებულება ინგლისთან და საფრანგეთთან.

მოსკოვი. 29 ივლისი. მოსკოვში დაბრუნებულმა ამხ. რაკოვსკიმ განუცხადა ჟურნალისტებს, რომ მისი ჩამოსვლის მიზანია მოხსენების გაკეთება საბჭოთა კავშირის და ინგლისის მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ. 4 თვის განმავლობაში გრძელდებოდა მოლაპარაკება არა მარტო მთავრობასთან, არამედ ინგლისის სამრეწველო წრეებთან და ამ მოლაპარაკების დროს იყო ისეთი მომენტები, რომლის შესახებაც ვრცელი მოხსენება უნდა წარედგინოს მთავრობასო. მიუხედავად შეთანხმების, რომელიც აუცილებლად იქნება მიღწეული, უნდა აღინიშნოს ინგლისის ყველა წრეების მნიშვნელოვანი გადახრა საბჭოთა კავშირის სასარგებლოთ.

შეხო რა საფრანგეთთან დამოკიდებულებას რაკოვსკიმ განაცხადა, რომ დიდხანს ესაუბრა, ერრიოს უკანასკნელის ლონდონში ჩამოსვლის დროს ამხ. რაკოვსკი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა საფრანგეთის და ბელგიის მიერ სულ ახლო მომავალში მოხდება.

ჟორესის საფლავზე

ჟორესის გარდაცვალების ათი წლის თავი.

რომი, 29 ივლისი. კვირას საფრანგეთის კომპარტიისა და შრომის გაერთიანებულ (რევოლიუციონურ) ფედერაციის მიერ მოწყობილი იყო დემონსტრაცია ჟორესის მოკვლიდან 10 წლის თავის შესრულების გამო. მანიფესტაციაში მონაწილეობას იღებდენ პარიზის მუშების მრავალრიცხოვანი მასები. დემონსტრანტები მიესალმენ მოსკოვის მუშების დროშას, რომელიც მიქონდათ კომპარტიის მდივანს სემარს და შრომის გაერთიანებულ ფედერაციის მდივანს მშვალს. დემონსტრაცია მიდიოდა სრული წესრიგით, პოლიციამ არაჩვეულებრივი თავდაჭერილობა გამოიჩინა.

ჟორესის ძეგლთან.

პარიზი, 29 ივლისი. კომპარტიისა და შრომის უნიტარულ კონფედერაციის მიერ მოწყობილი დემონსტრაცია უინციდენტოთ ჩატარდა. დემონსტრანტებმა თავი მოიყარეს ჟორესის ძეგლთან და ინტერნაციონალის სიმღერით ჩაიარეს ქუჩებზე კაშენის მეთაურობით; დემონსტრანტებს მიქონდათ მოსკოვის მუშების მიერ საფრანგეთის პროლეტარიატისათვის მიძღვნილი დროშა.

აჯანყება ბრაზილიაში

აჯანყებულების მეთაურის ტყვედ ჩავარდნა.

ნაუენი. 30 ივლისი. ნიუიორკიდან მიღებულ ცნობების თანახმად ბრაზილიის რევოლიუციონერების გენერალი ვილლერუა ტყვედ წაიყვანეს რიო-გრენადის შტატში.

რომი, 30 ივლისი. იტალიის ელჩმა რიო-დეჟანეიროში მიმართა ბრაზილიაში მცხოვრებ იტალიელებს მოწოდებით თავი შეიკავონ სამოქალაქო ომში ჩარევისაგან.

ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობის თანახმად მთავრობის ჯარების გენერალმა კოტამ დაიკავა ქალაქი იტაკაიი, რათა ხელი შეუშალოს რევოლიუციონერების წინსვლელობას.

სან-პაბლოში.

ლონდონი. 29 ივლისი. რეიტერის სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ რიო-დე-ჟანეიროდან, რომ ოფიციალური ცნობით მთავრობის ჯარებმა სან-პაბლოდან განდევნეს მეამბოხენი.

გაცხარებული ბრძოლა.

ლონდონი, 29 ივლ. მთავრობის ჯარებმა სასტიკი ომის შემდეგ დაიკავეს სან-პაბლო.

ბერლინი, 30 ივლისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით მთავრობის ჯარებმა ისევ დასტოვეს სან-პაბლო.

მდგომარეობა ინგლისში

პურის ნაკლებობა.

ლონდონი, 30 ივლისი. სიდნეი ვებმა თემთა პალატაში შემოტანილ შეკითხვაზე ლონდონში პურის ფასების მოსალოდნელ ზრდის შესახებ განაცხადა, რომ რამდენათაც ამჟამათ შესაძლებელია მომავალ მდგომარეობის გათვალისწინება, არ არის მაინცა და მაინც სერიოზული საფუძველი იმის საფიქრებლათ, რომ პურის გაძვირებისას არ იქნება გამონახული დამაკმაყოფილებელი გამოსავალი ამ გაძვირებიდან. მაგრამ, ვინაიდან პურის მოუსავლობა ბევრ ქვეყანას ემუქრება, ამჟამათ არ შეიძლება მოსალოდნელ სიძვირის დონის გათვალისწინება სრული სისწორით. სრული ჭეშმარიტებაა, რომ ხორბლის მოსავალი კანადაში წელს უფრო მცირეა, ვიდრე წინანდელ სეზონში, მაგრამ ნაჩქარევია პურის სიმცირის ამთავითვე განსაზღვრა და სიმშილობის წინასწარმეტყველება.

კომუნისტური მოძრაობა ინგლისში.

ნაუენი, 30 ივლისი. ინგლისის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართა კომუნისტური მანიფესტაციები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდა უმთავრესათ ახალგაზრდა მუშები.

მუშათა პარტიის პერსპექტივები.

ლონდონი. 29 ივლისი. გენერალურმა პროკურორმა მაკდონალდის კაბინეტში პატრიკ ხესტინგსმა ულსენდში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ მუშათა პარტია იმყოფება ხელისუფლების სათავეში ოპოზიციის მერყეობის გამო. „ახალ არჩევნებში“—ამბობს ხესტინგო—ლიბერალები ვერ მიიღებენ 60 ადგილსაც კი. კონსერვატორები კიდევ უფრო ჩამორჩებიან მუშათა პარტიას.

კრიტიკული მომენტი.

ლონდონი. 29 ივლისი. მემაღაროეთა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა კუკმა მიტინგზე განაცხადა, რომ დადგა კრიტიკული მომენტი, ვინაიდან მაღაროების მეპატრონეებმა უარი განაცხადეს მუშებთან დადებულ ნაციონალურ ხელშეკრულების შესრულებაზე. ფედერაციას განზრახული აქვს იბრძოლოს ამ დარღვევის წინააღმდეგ და გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ თუ კოლექტიური ხელშეკრულება არ იქნა შესრულებული მემაღაროები აქტიურად გამოვლენ მწარმოებლების წინააღმდეგ. „ეს შეთანხმება მწარმოებლებთან არის უკანასკნელი, აცხადებს კუკი, ვინაიდან ეკონომიური აუცილებლობით მაღაროები საზოგადოებრივ ხმარებაში გადავა“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

(„ლ'იუმანიტე“-დან)

რუმინეთი და ამერიკა

ვენა. 29 ივლ. რუმინეთსა და ამერიკას შორის მომხდარი კონფლიქტი ჯერ არ არის მოგვარებული. კონფლიქტი, როგორც ვიცით გამოიწვია რუმინეთის პარლამენტის მიერ ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებით შესახებ მიღებულმა კანონმა. ამერიკის მთავრობა ამ კანონით უკმაყოფილობა უმთავრესად იმიტომ, რომ 1919 წელს რუმინეთის მრეწველობის ეხლანდელმა მინისტრმა კონსტანტინესკუმ ბუქარესტში ჩასულ „სტანდარდ კომპანი“-ს დირექტორს, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა რუმინეთის ნავთის მრეწველობის აღდგენის შესახებ, წერილობითი პირობა მისცა, რომ ამ მიზნისათვის საჭირო ამერიკის კაპიტალს არ შეეხებოდა არც ერთი მომავალი კანონი. ახალი კანონი კი ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციის შესახებ უზრუნველყოფს მხოლოდ უცხოელ კაპიტალისტების მიერ წინეთ შეძენილ უფლებებს და ის აკლებს კონცესიონერებს თავისი კონცესიები ვადასცენ რუმინეთის მთავრობას ექსპლოატაციის 10 წლის ვადის გასვლის შემდეგ. ამერიკის ელჩი მომავალ კვირაში მიემგზავრება ვაშინგტონში, რის შემდეგაც ამერიკის მთავრობა მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

იმპერიალისტების წინააღმდეგ

მოძრაობა იზრდება.

პეკინი. 29 ივლისი. საგაფიცვო მოძრაობა კანტონში ძლიერდება. გაფიცვას შეუერთდა ადგილობრივ გემების მეზღვაურთა კავშირი. გაფიცვა მოედო აგრეთვე ინგლისის კომპანიის „აზიის ნავთის“ გემების სააღმშენებლო სახელოსნოებს. საგაფიცვო კომიტეტის წევრები აცხადებენ, რომ მოძრაობა მიმართულია ინგლისელების წინააღმდეგ და ის გაგრძელდება მანამდი, სანამ ისინი არ შეასრულებენ ყველა მოთხოვნილებებს. აქამდი ადგილობრივი ვაჭრობა სწარმოებდა გონკონგის დოლარებით, მაგრამ უცხოელთა ბანკთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ, გონკონგის ვალიუტა გაქრა, რის გამო გონკონგის უცხოელთა ბანკებს დიდი ზარალი მოუვიდათ; მათი ზარალი აღწევს 10 მილ. დოლარს.

ბრძოლა იმპერიალიზმთან.

პეკინი, 29 ივლისი. იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ჩინეთის საზოგადოება ენერგიულათ ანვითარებს თავის მუშაობას. საზოგადოებას შეუერთდა მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციები; საზოგადოების წევრთა რიცხვი სწრაფათ იზრდება. ამ დღეებში საზოგადოებამ მოაწყო ჟურნალისტების სპეციალური კრება, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს მრავალმა მწერლებმა. კრებაზე დამსწრეებმა ჩამოწერეს საზოგადოების წევრებათ და აირჩიეს კომიტეტი. ჩინელმა სტუდენტებმაც აგრეთვე მოაწყვეს ცალკე საზოგადოება, რომელშიაც შედიან პეკინის და პროვინციის ყველა უმაღლესი სკოლები და უნივერსიტეტები. საზოგადოებას განზრახვა აქვს მიმართოს უცხოელ სტუდენტებს საზღვარგარეთ თხოვნით დახმარება გაუწიონ მას.

სხვადასხვა ამბები

— **კომპარტიის დევნა.** ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ დაშლილად გამოაცხადა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის სტუდენტთა ფრაქცია. ფრაქციის თვალსაჩინო წევრების ბინაზე ჩხრეკა მოახდინეს.

— **შეტაკება მოსულში.** ინგლისის მცველ რაზმს მოსულში თავს დაესხენ ადგილობრივი მცხოვრებლები. ინგლისის რაზმი ძლიერ დაზარალდა.

— **ახალი მთავრობა სამხრეთ-სლავიაში.** ბულგარეთიდან მიღებული ცნობებით, ოპოზიციის ლიდერმა დავიდოვიჩმა შეადგინა მთავრობა. რომელშიც შევიდენ: 5 დემოკრატი, 4 კლერიკალი, სამი მესლიმანი და 1 რადიკალი.

— **გემის დაღუპვა.** ტოკიოდან მიღებული ცნობით დაიღუპა იაპონიის გემი „ტაირა“ დაიღუპა 138 მგზავრი და 54 მეზღვაური.

— **ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი.** პოლონეთის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი სკრჟინსკი პოლიტიკურად ახლო დგას კრაკოველ კონსერვატორებთან. სკრჟინსკი ამავე დროს რჩება პოლონეთის წარმომადგენელთან ერთა ლიგაში.

— **ფასების გადიდება ნახშირზე.** გერმანიის მრეწველები იმუშავებენ რურის ნახშირზე ფასების 10 პროც. გადიდების გეგმას.

— **ამნისტიას არ იძლევიან.** ბელგიის დეპუტატთა პალატამ ხმების დიდი უმრავლესობით უარყო სოციალისტების მიერ შეტანილი კანონპროექტი ამნისტიის შესახებ.

— **ემიგრანტების შეხვედრა.** საფრანგეთში ჩავიდენ ესპანეთიდან გაძევებული ემიგრანტები, მათ შორის ცნობილი მწერალი უნო მუნო, რომელსაც საზეიმო შეხვედრა გაუმართეს.

[illegible]ნივ თამაში, მარჯვნივ მამაცი“

[illegible] ამწამლებ[illegible] სტატისტ[illegible]რის, უპრინ[illegible] — რძის [illegible]აცაა. მასაგრო-დახმარ[illegible] განხორ[illegible] სანაპიროში [illegible]ური უპრინ[illegible]სები რძის [illegible]პტიკი პოლი[illegible]ბის შესასწ[illegible]მეეიკა. და გადატანილ[illegible]ბა ყველა ექ[illegible] — და[illegible] 25 ივლ[illegible] „მარცხნივ თა[illegible] მამაცობს“— [illegible] სიტყვით, ძველს იცავს საქმით.

მენშევიკი მხოლოდ მით განირჩევა სხვა ჯურის ეკლექტიკოსისაგან, რომ ის თამაშობს პროლეტარიატის სისხლით, რევოლიუციის გამარჯვება-დამარცხებით.

ამიტომაა იგი უზომოთ საზიზღარი, ტალღესათ საძაგი.

—

ჩვენ ხელთაა ორი ნომერი „სოციალისტური ვესტნიკის“—მე-9 და მე-12. ეს „ვესტნიკი“ ორგანოა საზღვარ-გარეთ გაქცეულ რუს მენშევიკების და ასეთ სახელწოდებას ატარებს: „ცენტრალური ორგანო რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის“; გამოდის ბერლინში თვეში ორხელ. აი, ამ ჟურნალის ზევით დასახელებულ ორ ნომერში ჩვენ წავაწყდით ისეთ ადგილებს, რაიც მართლაც დაუვიწყარ ნიმუშებს იძლევიან მენშევიზმის ზომაზე ქვევით დაცემულ უპრინციპობისა; ისტორიულადაც შეიძლება ჩაითვალოს ეს ადგილები.

1. მსოფლიო რევოლიუციის ლიკვიდაცია.

ამის შესახებ „ვესტნიკის“ № 9 მოწინავეში „ზავით ლეთრზე“ შემდეგს ვკითხულობთ: „არ იქნება მართალი იმის თქმა, რომ კომუნისტური პარტიების „წინსვლა“ ევროპაში ხდება „ნელა“, არამედ უნდა ითქვას, რომ იგი (ე. ი. „წინსვლა“—ვ. ბ.) საერთოდ არ მიდის ამ გზით (ე. ი. რუსეთის კომუნისტების გზით—ვ. ბ.) რომ განვითარებულ კაპიტალიზმის ქვეყნებში—ყოველ შემთხვევაში ამ ისტორიულ პერიოდში—არ არის არავითარი იმედები არც ბოლშევიკურ ტიპის მასიურ რევოლიუციონურ პროლეტარულ პარტიების შექმნის, არც ისეთ რეალურ ინტერნაციონალისა, რომელიც იქნება „მსოფლიო პროლეტარიატის ერთი საერთაშორისო პარტია“.*)

ამრიგად ამ ციტატის პატივცემული ავტორი აშკარათ აღიარებს, რომ „ამ ისტორიულ პერიოდში (ე. ი. იმ ისტორიულ პერიოდში, რომელშიაც ჩვენ დღეს ვიმყოფებით) არ არის არავითარი იმედები რეალურ ინტერნაციონალის, და მასიურ პროლეტარულ, რევოლიუციონურ პარტიების შექმნისა“. რატომ?

ავტორი უპასუხებს:

„პირველად ყოვლისა იმიტომ, რომ დღევანდელ ისტორიულ პერიოდში განვითარებულ კაპიტალიზმის არც ერთ ქვეყანაში არ არის რევოლიუციონური სიტუაცია (დავგორდით, დავგორდით!—ვ. ბ.) იმ აზრით, როგორც ეს ესმით ბოლშევიკებს, ე. ი. მუშათა კლასის მიერ პოლიტიკურ ძალა-უფლების უშუალოთ დაპყრობის შესაძლებლობის სახით“.

არ არის ასეთი სიტუაცია თვით გერმანიაშიც, რომელიც, როგორც ბევრს ჰგონია, წარმოადგენს რაღაც გამონაკლისს ამ საერთო დებულებიდან“. **)

აქ უკვე სრულებით გახსნილია ფრჩხილები: რევოლიუციის მოხდენა შეუძლებელია, რადგან არ არსებობს რევოლიუციონური სიტუაცია, ე. ი. რევოლიუციისათვის ობიექტიურად ხელის-შემწყობი პირობები—და ასეთი მდგომარეობა შექმნილია არა მარტო დღევანდელი, ან ახლო მომავლისთვის, არამედ მთელ დღევანდელ ისტორიულ პერიოდისათვის. ჩვენ კი ვიცით, თუ რას ნიშნავს ისტორიული პერიოდი: იგი იზომება ათეულ წლებით.

ამ რიგათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის (მე-2 ინტერნაციონალის მემარცხენე ფრთის—ვ. ბ.) ცენტრალური ორგანო—გამომხატველი პარტიის ოფიციალური აზრისა—რევოლიუციის შესახებ გარკვეულ პასუხს გვაძლევს: სისულელეა მასზე ფიქრი დღევანდელ ისტორიულ ხანაშიო. ეს მსოფლიო რევოლიუციის შესაძლებლობის სრული ლიკვიდაციაა. ეს ოფიციალურად, აშკარად იწერება—პარტიის სახელით პარტიის ცენტრალურ ორგანოში!!

კარგი და პატიოსანი! ჩვენ სხვა წარმოდგენის არასდროს არ ვყოფილვართ მენშევიზმის „რევოლიუციონერობაზე“; აქ ვხედავთ მხოლოდ ერთ „პლიუსს“. ეს ის, რომ აშკარათ, გასაგები სიტყვებით ნათქვამია ის, რასაც ჩვენ მის (მენშევიზმის) შესახებ ვამბობდით: იგი არის რევოლიუციის ლიკვიდაციის პარტია. პარტიის ლიკვიდატორები წარსულში—ეხლა რევოლიუციის ლიკვიდაციის გამშვლებულ დამცველებად გვევლინებიან. აქ გასაკვირი არაფერია.—ჩვენ დავიხსოვნებთ იმას, თუ რას ამბობს მენშევიზმი რევოლიუციის შესახებ 1924 წელს აპრილის 17-ს.

2 „შესაფერი“ ტაქტიკა.

და რადგანაც მდგომარეობა ასეთია, რევოლიუცია ფიქციაა და ფუჭი ოცნება, რადგან არ არსებობს რევოლიუციონური სიტუაცია, ასე ხასიათდება მთელი დღევანდელი ისტორიული ხანა—ცხადია, რომ პარტიამაც შესაფერი ტაქტიკა უნდა იქონიოს, შესაფერი ასეთ მდგომარეობისათვის იარაღები დაამზადოს და ასე გავიდეს „მოქმედების ველზე“.

მოწინავეც ამბობს:

— „მაგრამ იქ, სადაც არ არის რევოლიუციონური სიტუაცია, იქ არ არის ობიექტიური და პსიქოლოგიური ნიადაგი ბოლშევიკური ტიპის რევოლიუციონური პარტიისა (დააკვირდით, დააკვირდით! ვ. ბ.) იქ პროლეტარიატში აუცილებლივ ვაიმარჯვებენ პარტიები, რომლებიც თავის ტაქტიკას აშენებენ არა აჯანყების მზადებაზე და გადატრიალების ლოდინზე, არამედ საკმაოდ დიდი ხნის და ერთობ ნელ პროცესის განსჭვრეტაზე, გამოყენებით ყოველგვარ პრაქტიკულ და პარლამენტარულ საშუალებების“ *).

ჩვენ არ ვიცით უკვირდებოდა კი საკმაოდ ამ სტრიქონების დამწერი იმას, თუ რას სწერდა, თუ როგორ „იმართახებდა“ ის თავის თავს ე. ი. თავის პარტიას, როდესაც სწერდა: „მაგრამ იქ, სადაც არ არის რევოლიუციონური სიტუაცია, იქ არ არის ობიექტიური და პსიქოლოგიური ნიადაგი. ბოლშევიკური ტიპის რევოლიუციონური პარტიისა“ ე. ი. პირიქით რომ ვთქვათ: იქ, სადაც არსებობს რევოლიუციონური სიტუაცია, იქ არის ობიექტიური და პსიქოლოგიური ნიადაგი ბოლშევიკური პარტიისა.—მენშევიკები დიდ პოზიციას გვითმობენ: იქ, სადაც შესაძლოა რევოლიუციის მოხდენა, ამის ხელსაყრელი პირობებია შექმნილი—იქ სამოქმედოთ ადგილი აქვს ბოლშევიკურ ტიპის რევოლიუციონურ პარტიას. რევოლიუციის უშუალოთ მეთაურ პარტიათ მენშევიკური ჟურნალი—ბოლშევიკურ პარტიას ასახელებს. მენშევიკური პარტია კი „ხეირობს“ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც არ არის „რევოლიუციონური სიტუაცია“, ე. ი. სადაც გამარჯვებულია რეაქცია, კონტრ რევოლიუცია. რამოდენიმეთ შეიძლება ეს მართლაც იყოს იმ მხრივ, რომ რეაქციის ნორმალურ განვითარების ხანაში—მენშევიზმს მეტი ლეგალური საშუალებანი აქვს არსებობისა და მოქმედებისა, იმის და დაუფასებლად, თუ რას წარმოადგენს ეს არსებობა და „მოქმედება“,—ვიდრე „ბოლშევიკურ ტიპის“ პარტიის,—ეს სხვათა შორის. ყოველ შემთხვევაში სამოქმედო ხაზი, ტაქტიკა მენშევიზმსა, რომელიც სინამდვილეში ყოველთვის ასეთი იყო,—ჩამოყალიბებულია ყველას დასანახად, საფარი ახდილია და მახინჯი სახე მზის სინათლეზეა გამოტანილი:

— „პარტია თავის ტაქტიკას აშენებს არა აჯანყების მზადებაზე და გადატრიალების ლოდინზე, არამედ საკმაოდ დიდი ხნის და ერთობ ნელი პროცესის განსჭვრეტაზე, გამოყენებით ყოველგვარ პრაქტიკულ და პარლამენტარულ საშუალებებისა“. თუ რას ნიშნავენ სინამდვილეში ეს „პრაქტიკული და პარლამენტარული საშუალებანი“ და მათი გამოყენება როგორია მენშევიზმის მიერ, ეს ჩვენ კარგათ ვიცით... თუ გინდ გერმანელ მენშევიკების „რეიხსტაგის“ „პარლამენტარულ“ მუშაობით ამ თვეებში და... მათივე პრაქტიკულ საშუალებების გამოყენებით... ლიბკნეხტის და როზას მიმართ არც ისე შორეულ წარსულიდან...

ამ რიგათ პროლეტარულ რევოლიუციის, „აჯანყების“, ძალა-უფლების ხელში ჩაგდების საკითხები—სამუშაო პროგრამიდან, სამოქმედო დღის-წესრიგიდან „ამ ისტორიულ პერიოდში“ უკვალოდ ამოშლილია და.. ტაქტიკაც შეფარდებულად არის ამორჩეული და გაშალაშინებული: „საკმაოდ დიდი ხნის და ერთობ ნელ პროცესის განსჭვრეტა და პარლამენტარულ საშუალებათა გამოყენება“.

3. „აბრუნდი“ ერთი თვის შემდეგ.

ყოველივე ზევით ნათქვამი აპრილის თვის „ნაყოფია“. სოციალისტური ვესტნიკი, რომლის მოწინავე ასე ახასიათებდა „დღევანდელ ისტორიულ პერიოდს“ და ფარდას ხდის მენშევიზმის „სარევოლიუციო“ სახეს, მის სამოქმედო გზას, ტაქტიკას სიმართლეს არ მოკლებულ ფერებით—ეს „სოციალისტური ვესტნიკი“ № 9 აღნიშნულია შემდეგი დატით: 17 აპრილი.

ერთი თვის შემდეგ, ე. ი. მაისში [illegible] შემდეგი „საისტორიო“ ამბავი: ამას გადმოგვცემს ამავე „ვესტნიკის“ მე-12 ნომერი. შემდგარა „გაფართოებული პლენუმი რ. ს. დ. მ. პ. ცეკასი“, ყოფილან: 1) რ. ს. დ. მ. პ. საზღვარგარეთელი დელეგაცია, 2) ბუნდის ასეთივე დელეგაცია, 3) ცე-კას რუსეთის ბიუროს წარმომადგენლობა და 4) „მთელი რიგი ცნობილ პარტიულ ამხანაგებისა“—სულ კი თვრამეტი სული (გოგოლის კოლექციიდან?!) აქედან კი 5 სული ოპოზიციური „ატმოსფერით“ გაჟღენთილი ყოფილა. შედეგი ამ 22 „სულის“ მუშაობის არის უზარმაზარი პლატფორმა: 1200 (ათას ორასი) სტრიქონით*).

საკვირველი „ამბები“ სწერია ამ პლატფორმაში: მენშევიკებისაგან მიჩვეულნი ყოველგვარ სიურპრიზებს—ჩვენ მაინც არ შეგვიძლია გაკვირვებით არ აღვნიშნოთ ეს მორიგი სიურპრიზი, როგორც მართლა „ისტორიული“.

აბა დავაკვირდეთ რას სწერენ ეს მენშევიზმის „პატივცემულნი გვამნი“ თავის „ნაყოფში“ და შევადაროთ იმას, თუ რას სწერდნენ სულ ერთი თვის წინეთ:

პლატფორმა ამბობს:

„მუშათა კლასის ბრძოლა პოლიტიკური ძალა-უფლებისათვის ხდება ძირითად შინაარსათ უახლოეს ისტორიული ეპოქისა“ (მუხლი მე-7).

ერთი თვის წინათ:

„დღევანდელ ისტორიულ პერიოდში პროლეტარიატში აუცილებლივ იმარჯვებს პარტია, რომელიც თავის ტაქტიკას აშენებს არა სახელმწიფოებრივ გადატრიალებით ლოდინზე და აჯანყების მზადებაზე, არამედ საკმაოდ დიდი ხნის და ერთობ ნელ პროცესის განსჭვრეტაზე“ („ვესტნიკი“ № 9).

პლატფორმა ამბობს:

„აღიარებულ უნდა იქნას აუცილებლობა სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების დაპყრობისა, როგორც მუშათა კლასის ძირითადი ამოცანის დღევანდელ ეპოქაში“.

ერთი თვის წინად: „დღევანდელ ისტორიულ პერიოდში განვითარებულ კაპიტალიზმის არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს რევოლიუციონური სიტუაცია იმ აზრით, როგორც ეს ესმით ბოლშევიკებს ე. ი. მუშათა კლასის მიერ პოლიტიკურ ძალა-უფლების უშუალოთ დაპყრობის სახით“.

პლატფორმაში სწერია:

„აუცილებელია მუშათა კლასის ერთი საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ამ ამოცანის (ე. ი. პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების დაპყრობის) განხორციელებისაკენ და რომელიც აშენებული იქნება ინტერნაციონალიზმის საფუძვლებზე“.

— აპრილში სწერდენ:

„დღევანდელ ისტორიულ პერიოდში არ არის არავითარი იმედები არც მასიურ რევოლიუციონურ პროლეტარულ პარტიების შექმნისა, არც რეალურ ინტერნაციონალისა, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის ერთი საერთაშორისო პარტიისა“.

ასე სწერდა ისტორიკოსი „მენშევიზმი“. ბრძოლის და განვითარების ისტორიას აპრილში 1924 წ. და ასე სწერს იგივე „ისტორიკოსი“ იმავე ისტორიას იმავე 1924 წელს მაისში ე. ი. ერთი თვის შემდეგ. „აბრუნდიც ასეთი უნდა!

აპრილში ლიკვიდაცია რევოლიუციის, რევოლიუციონური სიტუაციის უარყოფა, შეუძლებლობა რევოლიუციონურ მასიურ პარტიისა და რეალურ ინტერნაციონალის არსებობისა, ფუჭ ოცნებათ გამოცხადება პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლებისათვის ბრძოლისა—მაისში—ერთი თვის შემდეგ—ინტერნაციონალური შეკავშირება ერთი პოლიტიკით, ამ პოლიტიკის შინაარსი კი ბრძოლა მუშათა კლასის მიერ პოლიტიკურ ძალა-უფლებისათვის.

ფლიუგერი ქანაობს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ,—როგორც ქარი ქრის ისე. სანახაობა არც ისე საინტერესოა რადგან ის საკმაოდ ძველია და მობეზრებულია ისევე, როგორც ფალშიობა, გამყიდველობა, ღალატი. მხოლოდ მენშევიზმის ფლიუგერს ერთი განსაკუთრებული თვისება აქვს: მარჯვნივ ის ქანაობს სიხარულით და „სულით-გულით“, მარცხნივ კი ფალშიობს, სტყუის, ცბიერობს.

ესეც ძველი ამბავია—საუბედუროთ ჯერ კიდევ არ ჩაბარებული საბოლოოდ ისტორიის არქივში.

სხვათა შორის ამიტომაც [illegible] მაინც საჭიროა გახსენება იმის, თუ რა არის მენშევიზმი სინამდვილეში—როგორია მისი სიტყვა და მისი საქმე.

როგორ ყალბია და ცბიერი მისი მარცხენა მხარე და სამაგიეროთ ბუნებრივი და „მდიდარი“ მისი მარჯვენა.

ზევით მოყვანილი ნაწყვეტები მენშევიკურ „შემოქმედებიდან“ გარდა იმისა, რომ ნათელ სურათს გვაძლევენ მენშევიზმის სრულ უპრინციპობისა, ამავე დროს გვეუბნებიან ერთ რამეს.

მენშევიზმის ფლიუგერმა საჭიროდ დაინახა მარცხნივ გადახრა—მაშასადამე ძლიერად ქრის ქარი რევოლიუციისა. დღეს იქნება თუ ხვალ იგი ქარიშხლად იქცევა.

და ვერავითარი „მარცხნივ თამაშობა და მარჯვნივ მამაცობა“ მენშევიზმისა, რომელსაც იგი ასე მოხერხებულად ეწევა,—ძველ ქვეყანას ამ ქარიშხალს ვერ ააცდენს

ვ. ბახტაძ

---

*) Социалистический Вестник № 9 მოწინავე „Без будущего“.

**) იქიდანვე.

*) იქიდანვე.

*) „Социалистический вестник“ № 12—13 20 ივნისი.

„კომუნისტი“

მიიღება ხელის მოწერა აგვისტოსათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით გაზეთი ეღირება:

1 თვით 65 კაპ. 2 თვით—1 მან. 10 კაპ. 3 თვით—1 მან. 80 კაპ. 6 თვით—3 მან. 60 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვის გაგზავნით

თბილისში (ბინაზე მიტანით)

1 თვით		85 კაპ.
2 „	1 მან.	60 „
3 „	2 „	40 „
წლის ბოლომდი	3 „	95 „

პროვინციაში (გაგზავნით)

1 თვით		95 კაპ.
2 „	1 მან.	80 „
3 „	2 „	70 „
წლის ბოლომდე	4 „	45 „

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი“-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამხატვრო დამატებას „ჩირაღდანს“

მელითონეთა საერთაშორისო გაერთიანების კონგრესი

ვენა, 29 ივლისი. ვენაში ამ ჟამათ სწარმოებს მელითონეთა საერთაშორისო გაერთიანების კონგრესის მუშაობა; კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მუშათა კლასის სოციალურ-პოლიტიკური მიღწევები ვერ არის საკმაოთ დაცული და აგრეთვე ის, რომ კაპიტალისტები სცდილობენ თავზე მოახვიონ პროლეტარიატს ომის უღელი და ამას გარდა მათ სურთ ეკონომიური კრიზისი მოსპონ 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებით. რეზოლიუცია მოუწოდებს ყველა ქვეყნების მელითონეებს დაიცვან 8 საათის სამუშაო დღე და თუ საჭიროება მოითხოვს მიმართონ უკიდურეს ზომებსაც კი, რადგან ეს ბრძოლა მთელი პროლეტარიატის საქმეა. ყრილობაზე კენჭი უყარეს საკითხს რუსეთის მელითონეთა კავშირის დელეგატის დაშვების შესახებ ყრილობაზე, რის შემდეგაც მიღებული იქნა დადგენილება, რომ რუსეთის დელეგატს შეუძლია გამოვიდეს ყრილობაზე მხოლოდ სხდომის ბოლოს იმ პირობით, თუ ის წინასწარ განაცხადებს, რომ რუსეთის მელითონეთა კავშირი იღებს ყრილობის წესდებას და გადაწყვეტილებებს.

ინგლისის დელეგატი შეეცადა უზრუნველყო რუსეთის დელეგატისათვის თავისი პოზიციის დეტალურათ დასაბუთების შესაძლებლობა, მაგრამ ფრანგებმა, განსაკუთრებით კი ბელგიელებმა განაცხადეს, რომ ისინი მიატოვებენ ყრილობას, თუ რუსეთის დელეგატი წამოაყენებს საკითხს ტაქტიკისა და ერთიანი ფრონტის შესახებ. ბოლოს ყრილობამ დაადგინა რუსეთის დელეგატს მისცეს სიტყვა 15 წუთის განმავლობაში იმ პირობით, თუ ის არ დაიწყებს კამათს განხილულ საკითხების შესახებ.

სხდომის ბოლოს გამოსულმა რუსეთის დელეგატმა არსენიევმა განაცხადა, რომ რუსეთის მელითონეთა კავშირი იბრძვის პროლეტარიატის ერთიანი ფრონტისათვის და სცნობს ყრილობის წესდებას და გადაწყვეტილებებს, მაგრამ ამასთანავე ის ფიქრობს, რომ მელითონეთა მთლიანობის აღდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებაში მიღებული იქნებიან სხვა ქვეყნებში არსებული რევოლიუციონური პროფესიონალური ორგანიზაციები. არსენიევმა აღნიშნა, რომ რუსეთის მრავალი ათასი შეკავშირებული მელითონეები არა მარტო რუსეთის პროლეტარიატის ავანგარდს წარმოადგენს, არამედ ისინი არიან აგრეთვე მელითონეთა საერთაშორისო კავშირის ავანგარდიც რეაქციისა, ფაშიზმისა და კაპიტალის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში. რუსეთის დელეგატის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისელებსა და ნორვეგიელებზე.

სხდომის გათავების შემდეგ არსენიევს თათბირი ჰქონდა გერმანიის მელითონეთა კავშირის მდივან დისმანთან, რომლის დროს უკანასკნელმა წინადადება მისცა მას განაგრძოს მოლაპარაკება რუსეთის კავშირის მიწვევის შესახებ ოქტომბერში ფრანკფურტში ანდა ბერლინში; დისმანის აზრით მან ამასთანავე მოლაპარაკება უნდა აწარმოოს იმის შესახებაც, რომ მიწვეულნი იქნენ იმ კავშირების წარმომადგენლებიც, რომლებიც არც ერთ საერთაშორისო გაერთიანებას არ ემხრობიან. არსენიევმა მოითხოვა, რომ გაერთიანების ცეკამ დისმანის წინადადება წერილობით გადაგზავნოს მოსკოვში განსახილველად.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შემდეგ.

ცარიცინი. 30 ივლისი. სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების შემდეგ, სპარსეთის ვაჭრებმა ცარიცინის ქარხნებს შეუკვეთეს ლურსმნები და მავთული.

ექსპორტი

ლენინგრადი. 30 ივლისი. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ლენინგრადიდან ინგლისში გატანილია 39 მილიონი კვერცხი.

ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 30 ივლისი 28 ივლისისათვის ბაზრობაზე ჩამოტანილი იქნა 2 მილ. ფუთი სხვადასხვაგვარი საბაზრო ტვირთები, რაც შესამჩნევათ აღემატება ტვირთების შარშანდელ რაოდენობას. აღმოსავლეთის სავაჭრო ფირმებისათვის აგებულ სავაჭრო კორპუსების გარდა, დაწყებულია ახალი ხის ბარაკების მოწყობა სპარსეთის ვაჭრებისათვის.

ლენინის აკლდამაში შესვლის ნებართვა

მოსკოვი, 30 ივლისი. ლენინის აკლდამის გახსნა მოხდება 1 აგვისტოს, 18 საათზე. დელეგაციების, ყრილობების, კონფერენციების, ექსკურსანტების და სამსახურის საქმეებზე მოსკოვში ჩამოსულ პირების დაშვება ლენინის აკლდამაში შეიძლება ყოველდღე სპეციალურად აღნიშნულ საათებში.

სრულიად რუსეთის ცაკის მეორე სესია.

მოსკოვი, 29 ივლისი. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით ცაკის მეორე სესია მოწვეული იქნება 15 სექტემბრისათვის.

საბჭოთა აჭარაში

— **აჭარისტანის ცაკის მესამე სესია.** ამ ახლო მომავალში მოწვეული იქნება ცაკის მესამე სესია.

— **ფიზკულტურა.** ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ზარამიძეს დაევალა, მიიღოს ენერგიული ზომები ფიზკულტური საქმის სათანადოთ მოსაგვარებლად, რა მიზნითაც გადიდებული იქნა სათანადო თანხა.

— **აჭარელ გლეხთა სახლის დებულება.** გლეხთა დამხმარე კომიტეტი იმუშავებს აჭარელ გლეხთა სახლის დებულებას და დასამტკიცებლად წარადგენს ცენტრ-აღმასკომში.

— **საგლეხო სესხის გავრცელება.** ჭოროხის მაზრის აღმასკომმა მიიღო საგლეხო სესხის ობლიგაციები და შეუდგა გლეხებს შორის გავრცელებას.

— **სიმინდის შესყიდვა.** ჭოროხის მაზრის გლეხკომმი სოციალ-უზრუნველყოფის სახკომისარიატთან ერთად შეუდგა გლეხებიდან სიმინდის შესყიდვას.

— **სკოლის ბინების შეკეთება.** ჭოროხის აღმასკომი შეუდგა მაზრაში არსებულ სკოლის ბინების შეკეთებას.

— **ქობულეთის გლეხკომში.** ქობულეთის სამაზრო გლეხკომმა გლეხებიდან შეიძინა 20.000 ფუთი სიმინდი სარეალიზაციოდ.

— **გონიის საავადმყოფოს სარფში გადატანა.** რადგან გონიის თემის მცხოვრებნი წავიდნენ საგარაკოთ, ამიტომ გონიის საავადმყოფო ორი თვის ვადით გადატანილი იქნა სოფ. სარფში.

— **ბრძოლა კონტრაბანდასთან.** აჭარისტანში მოეწყო სამაზრო სამეულები, რომლებსაც დაევალა კონტრაბანდასთან ბრძოლა.

— **საპნის დამზადება.** ჭოროხის საპნის ქარხანამ დაამზადა 150 ფუთი საპონი, რომელსაც რეალიზაცია ეყო ადგილობრივ ბაზარზე.

— **ახალი სკოლის გახსნა.** განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა სოფ. უჩამფაში (ხულოს მაზრა) გახსნას ახალი სკოლა.

— **ქობულეთის აგარაკი.** მთავარ საკურორტო სამმართველოს მუშაობამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქობულეთის კურორტის აღდგენის და მოწყობის საქმეს. მიმდინარე სეზონის საამშენებლო გეგმის 80 პროც. საერთოდ უკვე შესრულებულია.

— **აგრონომიული მუშაობა.** ხულოს მაზრაში იგზავნება აგრონომ-ინსტრუქტორები, აგრონომიული მუშაობის გასაფართოებლად.

პარტიული ცხოვრება

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი

1 აგვისტოს გაიხსნება რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგი:

1) რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის მოხსენება.
2) საქართველოს კომპარტიის ცეკას მოხსენება.
3) ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ.
4) მუშაობა პარტიაში ახლათ მიღებულ წევრებს შორის.
5) ამიერ-კავკასიის და ნაციონალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკების მუშაობის შესახებ.
6) მოსავალი ამიერ-კავკასიაში.
7) ამიერ-კავკასიის უმაღლეს სასწავლებლების რაიონებში დანაწილება.
8) მიმდინარე საქმეები.

პარტმუშაობის გაძლიერებისათვის ჭიათურაში

ჭიათურის რაიონში, სადაც ათასობით იყრიან მუშები თავს, საჭირო იყო პარტიული მუშაობის გაძლიერება. ამ მიზნით საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ჭიათურის რაიონს მისცა 4 კომუჯრედის 3 | მგ მდივნის შტატი. ეს გარემოება ეჭვი არ არის, რომ საგრძნობლად გამოაცოცხლებს მუშაობას.

კარუტის ფირმაში დანიშნულია კომუჯრედის მდივნათ ამხ. ი. კონტრიძე, თაბაგრების საგანგებო სამართველოს კომუჯრედის მდივნათ— ამხ. კ. მელქაძე, რგანის ღელეს საგანგებო სამართველოს კომუჯრედის მდივნად ამხ. კ. ფუტკარაძე, „ჩემო“-ს ვაგონის მტვირთველ მუშების კომუჯრედის მდივნად ამხ. ალ. ფხალაძე. ეს ამხანაგები იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პირნათლათ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და გააჩაღებენ ჭიათურის მუშებს შორის ენერგიულ პარტიულ მუშაობას.

ქ. სვერელი.

სამხედრო კომისარიატის სტამბის კომუჯრედში

პარასკევს 18 ივლისს შესდგა კომუჯრედის კრება, რომელსაც დაესწრო როგორც პარტიის წევრები ისე ახალგაზრდა კომკავშირელები. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. მინდიაშვილი, მდივანი იყო ამხ. ზეგიჯანოვი. დღის წესრიგში იდგა საკითხები: ადგილკომის ანგარიში, სოფლებთან კავშირის შესახებ და მიმდინარე საკითხები.

ამხ. არეშოვის წინადადებით რადგანაც ადგილკომის ახალი არჩევნები მოხდება, ერთი თვის ადგილკომის ანგარიშის მოსმენა გადაიდო შემდეგისათვის.

ამავე კრებაზე ამხ. გ. ელისაბედაშვილმა გააკეთა მოხსენება სოფელთან კავშირის შესახებ, რომელმაც დიდი აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ცხოველი კამათი გამოიწვია. უჯრედის მიერ ამხ. გ. ელისაბედაშვილის მოხსენება მოწონებულ და მიღებულ იქნა სახელმძღვანელოთ.

კრების დახურვის წინ უჯრედის მდივანმა გააკეთა მოხსენება უჯრედის წევრთა საზაფხულო შვებულებაში წასვლის შესახებ.

დ. წ.

ეკონომიური ცხოვრება

საბჭოთა კავშირის საფინანსო თათბირი

ამ თათბირს დაესწრნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენელნი. მისი დღის წესრიგი შეიცავდა შემდეგ საკითხებს:

1) საბიუჯეტო უფლებები და ბიუჯეტები საერთო კავშირისა და მოკავშირე რესპ. ბიუჯეტის ძირითადი კითხვები, 2) სახელმწიფოს ბიუჯეტი, 3) ხელფასი და სახელმწიფოს ბიუჯეტი, 4) ადგილობრივი ფინანსები, 5) სუბსიდია ადგილობრივ ორგანოებს, 6) ადგილობრივ გადასახადების გაერთიანება, 7) რაიონების ბიუჯეტი, 8) კომუნალური კრედიტი, 9) ადგილობრივ ბიუჯეტის უახლოესი ამოცანები, 10) სახელმწიფო გადასახადები და მისი ამოცანები, 11) საფინანსო აპარატის რეორგანიზაცია, 12) არასაგადასახადო სახელმწიფო შემოსავალი, 13) სარეწტო ბეგარა, 14) ადგილობრივი ფინანსების კონტროლი, 15) სახელმწიფო ბანკი და საკრედიტო პოლიტიკა, 16) ფულის რეფორმა და ფულის ბრუნვის პერსპექტივები.

ყველა ამ კითხვების შესახებ თათბირმა მოისმინა საყურადღებო მოხსენებები, და შემდეგ ყველა ეს კითხვები დაწვრილებით გაირჩა სექციებში, სადაც სარმოდგენილ პროექტებში შეტანილ იქნა მრავალი შესწორებანი და დამატებანი. თითქმის ყველა ეს შესწორებანი და დამატებანი მთავრობის წარმომადგენლებმა მისაღებად სცნეს.

ამ თათბირის მუშაობით ადგილობრივ და რესპუბლიკანურ ბიუჯეტების სფეროებში დიდი და დადებითი ნაბიჯი გადადგა მოკავშირე რესპუბლიკებმა; მათი საბიუჯეტო უფლებები უფრო ნორმალურ კალაპოტში ჩადგა და ფინანსიურ პოლიტიკას უფრო რეალური და მეცნიერული ხასიათი მიეცა.

ეს ახალი ნაბიჯი ფინანსიურ სფეროში კარგათ განმარტა თავის საყურადღებო მოხსენებაში ფინანსთა კომისარმა ამხ. სოკოლნიკოვმა. მან დაახასიათა თანამედროვე ფინანსიური მდგომარეობა და სთქვა „ჩვენი ფინანსიური განვითარება შეუძლებელია განხილულ იქნეს ევროპის მდგომარეობიდან დამოუკიდებლად. მიუხედავად ყველა პოლიტიკურ განსხვავებისა, ჩვენ, როგორც ევროპის მეურნეობრივი ერთეულის წევრნი, ჩაბმულ აღმოვჩნდით ევროპის ეკონომიურ განვითარების მექანიზმში“. (Финанс. газ., № 139). მანეთის სტაბილიზაციის საკითხს ამხ. სოკოლნიკოვი უკავშირებს იმ ეკონომიურ ურთიერთობას, რომელიც ვითარდება ევროპის სახელმწიფოთა შორის, რომელთა რიცხვში, რასაკვირველია, ეკონომიურად შედიან საბჭოთა რესპუბლიკებიც.

მანეთის სტაბილიზაცია მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი მრეწველობის და ტრანსპორტის მდგომარეობასთან, ხოლო ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა არის „მსოფლიო ბაზართან მჭიდრო დამოკიდებულებაში და ჩვენ შეგვიძლიან გამოვხატოთ ჩვენი ფასები ამბობს ამხ. სოკოლნიკოვი,—მხოლოდ იმ ერთეულებით, რომლებშიაც გამოხატულია ფასები მსოფლიო ბაზარზე“. (იქვე) აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩვენი ექსპორტი და იმპორტი და მათი ურთიერთობა. ჩვენ იძულებული ვართ საქონელი გავასაღოთ უცხოეთში და სხვა ქვეყნებიდან შემოვიტანოთ საქონელი. ეს აუცილებელია, და აქ არის გარდაუვალი ფაქტი და საფუძველი, რომელზედაც ეყრდნობა ჩვენი ფულის, მანეთის სტაბილიზაციის საკითხი, რომელიც ამავე დროს ფასის საკითხია მსოფლიო ბაზრის მნიშვნელობას ამხ. სოკოლნიკოვი ხაზს უსვამს და ამბობს: „ჩვენ უკვე შეერთებულნი ვართ მსოფლიო ბაზართან ჩვენ ვიმყოფებით მისი ფასების გავლენის ქვეშ და ჩვენი ფასები განისაზღვრებიან უმეტეს შემთხვევაში უშუალოდ და სხვა შემთხვევაში არა პირდაპირ, მსოფლიო ბაზრის ფასებიდან“ (იქვე).

ამხ. სოკოლნიკოვი აღნიშნავსა სხვ საყურადღებო მომენტებსაც. ის მხედველობაში იღებს იმ გარემოებას რომ კერძო პირებიდან აღებული შემოსავალი დღეს შეადგენს სახელმწიფოს მთავარ წყაროს და „ამისათვის,—ამბობს ის,—ჩვენ არ უნდა მივცეთ სასოწარკვეთილებას. ვხედავთ რა, რომ არსებობს კერძო ვაჭრობის ბრუნვა უნდა გვახსოვდეს, რომ, განაგრძობს ამხ. სოკოლნიკოვი —თუ ჩვენ ხელთ არ არის წარმოება, ტრანსპორტი და ბანკები ვაჭრობის მთლიანად აღებას ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძლებთ“. (იქვე). ეკონომიური და ფინანსიური პოლიტიკის მთავარ მიზნათ ამხ. სოკოლნიკოვი სახავს შემდეგს: „ჩვენ უნდა ვცდილობდეთ თავიდან ავიცილოთ საქონლის ბრუნვის მოულოდნელი შეწყვეტა, სახელმწიფო მრეწველობის კრიზისი, სავაჭრო აპარატის უქონლობის გამო“ (იქვე); ამიტომ ამხ. სოკოლნიკოვი საჭიროდ სცნობს, რომ კერძო ვაჭრობას—მიეცეს კრედიტი (იქვე). ის ამბობს: „თუ კერძო ვაჭრობას ბანკებმა კრედიტი არ გაუხსნა, მაშინ „ბანკის კრედიტის ალაგს საქონლით კრედიტი დაიჭერს, რომელიც სახელმწიფო მრეწველობა და სახელმწიფო ვაჭრობა იძულებული გახდება მისცეს კერძო ვაჭარს“ (იქვე). ასეთი კრედიტის მიცემა სახელმწიფოსათვის, რასაკვირველია, გაცილებით უფრო საზიანოა.

ამხ. სოკოლნიკოვი მჭიდროთ უკავშირებს ნორმალური ბიუჯეტის საკითხს ნორმალურ დაბეგვრას. ჩვენი ბიუჯეტი უნდა იქნეს შეთანხმებული რეალურ რესურსებთან და „არ უნდა გავადიდოთ საგადასახადო ტვირთის სიმძიმე“.(იქვე). ის სასტიკათ კიცხავს დაბეგვრის სფეროში თვითნებობას.

გადასახადების საკითხში ჩვენ უნდა ძლიერის სიმკაცრით ხაზი გაუსვათ ამოცანას: მივაწვიოთ თვითნებობრივი გადასახადების და გამოსაღებების შეწყვეტას. ისინი განაგრძობენ არსებობის „თვითდაბეგვრის“ სახით, მაგრამ ჩვენ ვიცით რას ნიშნავს ეს „თვითდაბეგვრა“ (იქვე). ეს მძიმე ფინანსიური სენია, რომლისაგან უსათუოდ უნდა განვიკურნოთ. სამწუხაროთ, ეს სენი ჯერაც სხვადასხვა სახით არ გვშორდება.

ასეთია მთავარი დებულებები, რომელნიც თათბირის წინაშე წამოაყენა ამხ. სოკოლნიკოვმა. კერძოთ თითოეული საკითხის გარჩევას შეეხნენ სხვა მომხსენებლები და სექციები; მათ მიერ გარჩეულ კითხვებს მოკლეთ განვიხილავთ შემდეგ წერილებში.

დ. თ.

პურის ბაზრის მოსაწესრიგებლად

ბაზრის მდგომარეობა ივლისის დამდეგს.

ა. | კ. შინა ვაჭრობის კომისარიატის ცნობით მოსავლის ცუდმა პირმა პურის ბაზრის მდგომარეობა ივლისის შუა რიცხვებში, რამოდენიმედ შეარყია ა. | კ. ქალაქებში. დაიწყო პურის ფასების ხელოვნური გადიდება და აგრეთვე ფქვილის კერძო გამყიდველთ დაეტყოთ პურის ფქვილის გადამალვა. ამავე დროს ისინი თავის მარაგს ავსებდენ სახელმწიფო საწყობებიდან.

შ. ვ. სახკომის ღონისძიებანი.

ამ გავლენის გამო შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა მიიღო გადამწყვეტი ზომები. აღრიცხულ იქნა მთელი ფქვილის მარაგი და აეკრძალა კერძო ვაჭრებზე ფქვილის გაყიდვა.

მთელი ივნისის განმავლობაში ა | კ პურის ბაზარი დაწყნარებული იყო და ამ. კავკასიაში პურის მოზიდვას არავითარი დაბრკოლება არ შეხვედრია. მხოლოდ ივლისის დასაწყისში შინავაჭრობის სახ. კო-მმა საჭიროდ სცნო ფასების გადიდება პირველი ხარისხის პურისათვის 2 მან. 75 კაპეიკის ნაცვლად 3 მან. 25 კაპ. ხოლო მე-3 ხარისხისათვის 1 მან. 70 კაპ. ნაცვლად 1 მან. 40 კაპ. ფასების ოდნავი გადიდება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ თვით შინავაჭრობის კომისარიატს ახალი აწეული ტარიფით მოუვიდა პურის მარაგის შეძენა.

პურის მარაგი ა.-კავკასიაში.

პირველ ივლისისათვის ა. | კავკასიაში ხორბლის მარაგი უდრიდა 735.000 ფუთს, ხოლო მთელს ა.-კავკასიის მხარეს პირველ სექტემბრამდე კი სჭირია 1 მილიონი ფუთი ხორბალი.

პურის ფონდის გადიდება.

პურის მარაგის შესავსებათ მიღებულია სათანადო ზომები. სახელმწიფო ბანკის მიერ შემოზიდული იქნება 200 ათასი ფუთი, 100 ათასი ფუთი შეკვეთილი აქვს ა.-კავკასიაში შემოსაზიდათ „ხლებოპროდუქტს“. ამგვარად ახალ მოსავლამდე ა. კავკასიისთვის ფქვილის მიწოდებას არავითარი დაბრკოლება არ ელობება წინ. გარდა ამისა, შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა როსტოვიდან 210 ათასი ფუთი ხორბლის გადმოტანის შესახებ.

პურის კოოპერატ. გამოცხობა.

შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატმა გადასდგა აგრეთვე ნაბიჯი პურის სახელმწიფო გამოცხობის მოსაწესრიგებლად (კოოპერატივების საშუალებით). ბაქოში უკვე პურის კოოპერატიული გამოცხობა უდრის პურის საერთო მოხმარების 85 პროც. ხოლო თბილისში აგვისტოს შუა რიცხვამდე პურის საერთო მოხმარების 70 პროც. გამოცხობა გადაეცემა კოოპერაციას.

განათლების მუშაკთა კავშირის ხუთი წლის თავი

ამხ. შავერდოვას მოხსენება

29 ივლისს საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგა განათ. მუშ. კავშირის ცენტრ. გამგეობის და რაიონული ადგილკომების საზეიმო სხდომა, რომელიც გახსნა გან. მუშ. კავშირის ცენტრ. გამგეობის მდივანმა ამხ. ა. შავერდოვამ.

ამხ. შავერდოვას მოხსენება.

მომხსენებლის თემა შეიცავდა მასწავლებლობის მუშაობის ანგარიშს ხუთი წლის განმავლობაში მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით და კერძოთ ამიერ-კავკასიაში. მომხსენებელი ახასიათებს მასწავლებელთა სულიერ განწყობილებას და დამოკიდებულებას ოქტომბრის რევოლიუციისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

ამ ჟამად მასწავლებლობა მთლიანად წარმოადგენს ერთ-ერთ ძლიერ რაზმს საბჭოთა ხელისუფლების თანამგრძნობ კულტურულ ძალთა შორის. შემდეგ მომხსენებელი ეხება იმ როლს, რომელსაც მასწავლებლობას აკისრებს საბჭოთა ქვეყნების მუშაგლეხთა კულტურულ ჩამორჩენილობა. და აგრეთვე ითვალისწინებს სამუშაო გეგმას, რომლის მიხედვით უნდა წარიმართოს საბჭოთა მასწავლებლების კულტურული საქმიანობა.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობაზე, აღნიშნავს მასწავლებელთა ხელფასის პროგრესიულ ზრდას და გამოსთქვამს იმედს, რომ საბჭოთა სამეურნეო ცხოვრების აღორძინებასთან ერთად, მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა აიწევს იმ დონემდე, რომელზედაც იგი არ ყოფილა არც ერთი წყობილების დროს.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

ა—კ. და საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების სახელით მასწავლებლობას ესალმება ამხ. მიხა ცხაკაია, რომელიც ეხება მასწავლებლობის როლს საბჭოთა აღმშენებლობაში. მასწავლებლობის დანიშნულება და როლი დიდი იყო ყოველთვის და მით უმეტეს დიდია ახლა საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა ხდება საფუძვლიანი გარდაქმნა არა მარტო სოციალურ-პოლიტიკურ წყობილების, არამედ კულტურულ ღირებულებათა და ყოფა-ცხოვრების. მასწავლებელი დღეს უნდა გახდეს კომუნისტური პრინციპების გამტარებელი ახალ თაობას და გლეხთა ფართო მასებში და ამისთვის უნდა ემზადოს იგი და სავსებით შეიარაღდეს მეცნიერული მეთოდებით, რათა პირნათლად შეასრულოს ისტორიის მიერ მასზე დაკისრებული დიდი მოვალეობა.

ამხ. მიხას შემდეგ ა.-კ. პროფსაბჭოს სახელით მასწავლებლობას ესალმება ხემკოვი, რომელიც ხაზს უსვამს მასწავლებელთა განსაკუთრებულ დანიშნულებას და მოვალეობას მუშათა მოძრაობაში და პროფესიონალურ ცხოვრებაში.

მისასალმებელ სიტყვას ამბობს აგრეთვე კავკასიის წითელ დროშოვან არმიის პოლიტიკურ სამმართველოს წარმომადგენელი, რომელიც მოკლე მიმოხილვას უკეთებს მასწავლებელთა მუშაობას წითელ არმიელთა გათვითცნობიერების და კულტურულად ამაღლების საქმეში. იგი უსურვებს მათ ამ მიმართულებით უფრო მეტ ნაყოფიერ მუშაობას.

სხდომას ესალმება აგრეთვე ახალგაზრდა პიონერთა წარმომადგენელი, რომელიც ჰპატიჟობს მასწავლებლობას პიონერთა საგიმნასტო ვარჯიშობაზე.

დასასრულ აკადემიურმა გუნდმა ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შეასრულა რევოლიუციონური და ხალხური სიმღერები.

შრომის სასამართლოში

უბედური შემთხვევა.

რკინის გზის შრომის ინსპექციამ შეიტანა შრომის სასამართლოში განცხადება და საგამომძიებლო მასალა უბედურ შემთხვევის შესახებ, რომელიც შეემთხვა რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშას მიხეილ თეთრაძეს.

უბედური შემთხვევა მოხდა შემდეგ პირობებში:

სახარატო ცეხის მუშას მიხეილ თეთრაძეს უნდა დაეზეთა სატრანსმისიო (ძალის გადამცემი) ბორბალი. მაღალი ბორბლის დასაზეთად იგი ავიდა სპეციალურად ამისთვის აგებულ ფიცრის ბაქანზე. ბაქანს, რომელიც ცოტა მოშორებული იყო ბორბალს, მოაჯირი არ ჰქონდა. მუშაობის დროს თეთრაძეს ფეხი გადაუცდა ბაქანიდან, და დაეკარგა წონასწორობა და სხვენ ნახევრის სიმაღლიდან დაეცა მის ქვეშ მდგომ რკინის დაზგაზე. მუშა გარდაიცვალა ინსპექცია ბრალს სდებს საქმისადმი უყურადღებობაში სახელოსნოს პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს, რომლებმაც არ მიიღეს გამაფრთხილებელი ზომები და შუამდგომლობას სძრავს შრომის სასამართლოს წინაშე სახელოსნოების უფროსის ინჟინერ მაისუროვის, სახარატო ცეხის გამგის ინჟ. ედიგერის და ცეხის უშუალო ხელმძღვანელის დომბროვსკის გასამართლების შესახებ.

საქმე გადაეცა სასამართლოს გამომძიებელს.

უბედური შემთხვევა ზემო-ავჭალის სამუშაოებზე.

ანალოგიურ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ზემო-ავჭალის მე-3 საამშენებლო რაიონში. მოიჯარადრე ზენდუკიძის ხელმძღვანელობით მუშა გიგო სოლომანაშვილი მუშაობდა მიწის ქვა-ხვრელის გაყვანაზე მიწის ზედა ფენა ჩამოინგრა და მუშა ქვეშ მოიყოლია. ამხანაგებმა ამოთხარეს მიწის ქვეშ ჩაფლული სოლომონაშვილი, წაიღეს საავადმყოფოში და როგორც იქნა მოასულიერეს.

შრომის ინსპექტორი პასუხისგებაში აძლევს მიწის სათხრელ მუშაობის უშუალო ხელმძღვანელებს. ეს საქმეც გამოსაძიებლათ არის გადაცემული.

ქრონიკა

— **პარკის დამზადებისათვის.** საქართველოს ეკონომიური საბჭოს დადგენილებით, გლეხებს ცეკავშირისათვის ჩაბარებულ თვითეულ ფუთ ნედლ პარკში მიეცემა ავანსად ორი მანეთი.

— **ფარმაცევტთა საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 31 ივლისს საღამოს 8 საათზე, სახ. მევაჭრობის შენობაში. ევანგულოვის ქუჩა № 12, შესდგება ფარმაცევტიულ საზოგადოების წევრთა მორიგი კრება. დღის წესრიგი: 1. მოხსენება მოსკოვის მე-2 უნივერსიტეტის პროფ. ს. ლ. ივანოვისა „ჰავის ზეგავლენა მცენარეთა ქიმიურ თვისებაზე“ განსაკუთრებით კი საწამლო მცენარეზე. 2. მოხსენება ფარმაციის მაგისტ. ტყეშელაშვილისა—შეგროვება და გამოყენება საწამლო მცენარეებისა 3) მიმდინარე საკითხები.

— **სიგარების ქარხანა გურიაში.** წარმოკავშირის ცნობით, ოზურგეთის რაიონში თამბაქო იმდენათ კარგი თვისებისაა, რომ შეიძლება ამ თამბაქოთი სიგარების დამზადება და ამ მიზნით იქ სიგარების ქარხნის მოწყობა.

— **პატიმართა საქმე.** საპყრობილე ადგილების ცენტრალურ გამმანაწილებელ კომისიამ მაის-ივნისში გაარჩია 236 პატიმარის საქმე, მათ შორის 48 ვადამდე გაანთავისუფლეს.

— **დასასვენებელი სახლები.** დასასვენებელ სახლების და სანატორიების მოსაწყობათ დამზღვევ კასამ წელს დახარჯა 56,345 მან.

— **თამბაქოს წარმოება.** საქ. უმაღ. ეკ. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. სახ. კომ. საბჭოს წინაშე, რათა ლაგოდეხის თამბაქოს პლანტაციების საჭიროებისათვის გადადებულ იქნას 60 ათასი მანეთი.

— **ნაქერალის გზა-ტკეცილი.** საქ. უმაღ. ეკ. საბჭომ გადასწყვიტა სასწრაფოდ შეუდგეს ნაქერალის გზატკეცილის გაყვანის დასრულებას, რომელიც შეჩერებული იყო რამდენიმე წლის განმავლობაში.

— **ხიდი გუბის წყალზე.** მდ. გუბის წყალზე (ხონის რაიონი) ხიდის ასაგებათ უმაღ. ეკ. საბჭომ გადასდო 80 მან.

— **საქართვ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტი.** შესდგა საქართ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტი ამხ. მიხა ცხაკაიას თავმჯდომარეობით. კომიტეტის მიზანია ინვალიდთა დახმარების მოწყობა, საჭირო ლიტერატურის გამოცემა და სხ. კომიტეტის განყოფილებები გახსნილ იქნება საქ. ყველა ქალაქებში.

— **საბჭოთა კავშირის განათლების კომისარების თათბირი.** ამ დღეებში ბორჯომში შესდგება ამხ. ლუნაჩარსკის თავმჯდომარეობით საბჭოთა კავშირის განათლების კომისართა თათბირი. თათბირი განიხილავს საბჭოთა კავშირის მასშტაბით განათლების მოწესრიგების საკითხს.

— **ვენერიული ავადმყოფობის კაბინეტი.** დიდუბის ქალაქის ამბულატორიასთან (დიდუბე № 18) გაიხსნა ვენერიული სნეულების კაბინეტი, სადაც ავადმყოფების მიღება სწარმოებს უფასოთ დილის 8 საათიდან 12 ს.

— **აგროდახმარება თელავის მაზრაში.** მიწად-მოქ. კომისარიატმა გაგზავნა თელავის მაზრაში გლეხებისათვის აგრო-დახმარების გასაწევათ ორი აგრონომი და ორი ინსტრუქტორი.

— **სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილებები.** ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა ექვს სოფელში გახსნას სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილებები.

— **წითელი სასადილო.** დამზღვევ კასამ პენსიონერთა წითელი სასადილოს მუშაობის გასაცხოველებლათ გადასდო 1,500 მან.

— **ტყის მოშენება თბილისში.** სატყეო კულტურის სექციის მიერ განზრახულია მოაშენოს კიდევ 50 დესეტინა ტყე სუნჯენის ხევის მიდამოებში.

— [illegible] ა.-კ. რკ. გზების სამმართველომ [illegible] აღძრა საკითხი ცენტრის წინაშე ა. | კ. რკ. გზ. სამგზავრო და [illegible] შესახებ.

— **ორთქლმავლების გამრავლება.** მიმდინარე წლის 1 ივლისიდან ორთქლმავლების რიცხვი გადიდდა 22-ით.

— **ორთქლმავლების დაზიანება ივნისის თვის განმავლობაში.** ივნისის თვის განმავლობაში ორთქლმავლების დაზიანების შემთხვევა იყო 10 აქედან 3 ორთქლმავალი იყო სამგზავრო მატარებლისა და 7 კი საბარგოსი.

— **წყლის გადასახადის წიგნაკები.** 8—10 აგვისტოს წყალსადენის მეთვალყურენი ჩამოივლიან [illegible] სახლებს და სადაც არ იქნება შესრულებული სავალდებულო დადგენილება წყლის წიგნაკების შესახებ, წყლის მიწოდება შეუწყდებათ.

— **ბრძოლა ბანდიტიზმთან.** შინ. საქ. სახ. კომისარიატის ცნობით, საქ. გასაბჭოების დღიდან 1924 წ. 1 ივლისამდე მთელ რესპუბლიკაში მოკლულია 400 ბანდიტი, დაჭრილია 30 და დაპატიმრებულია 489 ბანდიტი.

— **ინვალიდთა დამხმარე საზოგადოება.** ინვალიდთა დამხმარე საზოგადოების პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა თბილისში გახსნას წიგნის მაღაზია, მეწაღეთა სახელოსნო და გამოსცეს საქველმოქმედო მარკები.

— **ზემო-ავჭალის** ჰიდრო-ელექტრონულ სადგურში ახლად დასდგეს 4 ელექტრო მანქანა 150 ცხენის ძალიანი.

— **თამბაქოს მოსავალი.** თამბაქოს მოსავალი აფხაზეთში წელს ძლიერ კარგი იქნება წინდაწინვე გაყიდულია 200.000 მან. თამბაქო.

— **რკინისგზა კოჯორამდე.** სა[illegible]თო რკინისგზების სპეცს ინჟ. თუმანოვს მიენდო შეიმუშაოს კოჯორამდე რკინისგზის გასაყვანი პროექტი.

— **საჰაერო ფოსტა.** დაიწყო ჰაერით ფოსტის გადაგზავნა მოსკოვ-გერმანიაში. ამანათი არ უნდა იყოს 60 სანტიმ. დიდი. გადაგზავნა სწარმოებს ყოველდღე კვირა დღეების გარდა.

— **ტრამვაის დეპო.** ტრამვაის დეპოში ამჟამად მუშაობს 327 კაცი, სწარმოებს სახელოსნოების გაფართოება, განსაკუთრებით სამჭედლოს ცეხის.

— **დამზღვევი კასა.** 24 წლის პირველ ნახევრის ანგარიშში თბილ. დამზღვევ კასაში შემოვიდა 760,563 მან. და 50 კ. მუშათა დასაზღვევი ანარიცხები დაწესებულება-წარმოებებიდან.

— **დახმარება უმუშევრებს.** იანვარ-ივლისის განმავლობაში დამზღვევ კასამ დაზღვეულ უმუშევართა დახმარების სახით მისცა 54,628 მან. 52 კაპ.

შემთხვევები.

ძარცვა. 26 ივლისს, ღამით თბილისის სადგურზე ყაზახელ ორ ვაჭართან, რომელნიც უნდა წასულიყვნენ ბაქოს, მივიდნენ სამი უცნობი პირი და გამოელაპარაკენ რის შემდეგ ისინი წავიდნენ მახლობელ რესტორანში. გზაში უცნობებმა დასჭრეს აღნიშნული ვაჭრები ბებუთებით და წაართვეს, ყველა ნივთი და ფული.

— **თავის მოწამვლა.** 27 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე მოქ. ლუენმა ტერ-ვართანოვისამ (პუშკინის ქ. № 25) მოიწამლა თავი.

— **ბავშვის გვამი.** 28 ივლისს, დილით, პირაგოვის ქ. № 5 ახოს ჩამოსასხამ ქარხანაში კანალიზაციის მილის გაწმენდის დროს იპოვეს ახლად დაბადებული ბავშვის გვამი.

— **ქურდობა.** 27 ივლისს, სემენოვის ქ. № 23, გაქურდეს [illegible] ზარდალიშვილის ბინა, წაღებულია 120 მან. ნივთები.

— **შეპყრობა.** 27 ივლისს შეიპყრეს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ვიღაც ბაბაევი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები.

— **ქურდობა.** 26 ივლისს ბატარეინის ქ. № 22 ღია ფანჯრიდან გადასვლით გაქურდეს ნოე ცინცაძის ბინა. დაკარგულია 21 მან.

ხელოვნება

მუსიკალური კომედია.

მუსიკალური კომედიის წარმოდგენები ქართული კლუბის საზაფხულო თეატრში დაიწყო 26 ივლისს მუსიკალური „მოზაიკით“ „სიყვარულის ღამე“.

ჩვენ საჭიროთ არ მიგვაჩნია ამ ვითომდა მუსიკალური კომედიის გარჩევა, ამიტომ ჩვენ შევჩერდებით ლეგარის ნიჭიერათ დაწერილ ნაწარმოების „მხიარული ქვრივის“ დადგმაზე.

მუსიკალურ კომედიის წარმოდგენების დადგმას განაგებს სახელმწიფო ოპერის მომღერალი ლადო კავსაძე, რომელიც აღნიშნულ მუსიკალურ კომედიაში გამოვიდა გრაფ დანილოვიჩის მთავარ პარტიის შემსრულებლათ.

კომედიის დადგმაში სჩანს სათეატრო საქმესთან გაცნობა. ოპერეტა კარგათ არის მომზადებული, პარტიების უმეტესი ნაწილი მოხდენილათ არის განაწილებული.

მხიარული ქვრივის—განნა გლავარის პარტიას ასრულებდა ახალგაზრდა მომღერალი ქალი ირინა, რომელმაც მხოლოდ წელს დაამთავრა სახელმწიფო კონსერვატორია. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ეს მისი პირველი ნაბიჯები იყო სცენაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ მან სრულიად დამაკმაყოფილებლათ ჩაატარა განნას პარტია. ირინას ძლიერი ხმა აქვს (მეცცო-სოპრანო), ის მუსიკალურია და კარგათ უჭირავს თავი სცენაზე.

მეტათ კარგია კავსაძე დანილოვიჩის როლში. მომღერალი მუსიკალურათ ასრულებს ყველა ვოკალურ ნომრებს სოლოს და ანსამბლებში, ის ცოცხალ მონაწილეობას იღებს პარტიის სცენიურ გადმოცემაში და საუცხოვოთ უჭირავს თავი სცენაზე.

კარგია კომიკური ბებერი ქალი შულმანი. მსახიობ ქალის დიდი ღირსება იმაშია, რომ ის არ აშარჟებს როლს და ამასთანავე მეტათ კომიკურათ მიყავს ის. ის მუსიკალურათ მღერის და თავისუფლათ უჭირავს თავი სცენაზე.

მომღერალი ქალი ნეიმანი, როგორც ყოველთვის, ამოცანის სიმაღლეზე იდგა.

კარგია დემიანენკო; მუსიკალურათ ასრულებს თავის პატარა პარტიას ელიოზიშვილი. მკრთალი იყო მოლჩანოვი.

მეტათ ცუდათ არის დადგმული ცეკვა (განსაკუთრებით მესამე აქტი). ალბერტი, როგორც სჩანს, მიბაძავს ფორეგერს. ცეკვა ვერ არის მოხდენილი და ლამაზი. მოცეკვავე ქალების ხტუნაობა სცენაზე უადგილოა.

საკმაოთ მუსიკალურათ ასრულებს აკომპანიმენტს ბექტაბეგოვი.

ბ. ბ.

მუშათა ცხოვრება



მაკარონის და ვერმიშელის ქარხნის წითელი დირექტორი ამხ. ზორი ზორიანცი

ეს ქარხანა არსებობს მნაცაკანოვის აღმართზე, № 26 გასული წლის მაისში მას საძირკველი ჩაუყარა ამიერ-კავკასიის მომხმარებელმა კოოპერატივმა. მის წითელ დირექტორად დანიშნულია ამხ. ზორი ზორიანცი, რომელსაც დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვის ამ ქარხნის აღორძინებაში. 13 წელია, რაც ზორიანცი ამ ქარხანაში მუშაობს და დღეს მან ეს ქარხანა ფეხზე დააყენა.

ეხლა ქარხანაში მუშები და მოსამსახურეები ვითვლებით 38 კაცი, მათ შორის 11 ქალია. ქალთა შორის ამორჩეულია დელეგატი ქალი; ანბანის უსწავლელობა მოსპობილია და მუშები ყველა წერა-კითხვის მცოდნეა.

კოლექტიური ხელშეკრულება იდება 3 თვეში ერთხელ და ტარდება ცხოვრებაში; ჯამაგირის მაქსიმუმია 28 მან. და 80 კაპ. მუშაზე, უმაღლესი კვალიფიკაციისთვის კი—160 მან.

სპეცტანისამოსები გვაქვს; ექვს თვეში ერთხელ ვღებულობთ ნატურით მაკარონს, მიღებული გვაქვს ათი გირვანქა; საპონსაც ვღებულობთ და აბანოს ბილეთიც გვეძლევა.

მუშკორი **ს. სუკიაშვილი.**

ეს ბაღი ისტორიულია და მას განსაკუთრებული მოვლა უნდა.

(ქალ. ადმასკომის საყურადღებოდ)

ბევრი რამ გააკეთა ქალაქის ადმასკომმა.

ისტორიას არ ახსოვს ასეთი ნაყოფიერი მუშაობა, როგორც დღეს არის: ქუჩების შეკეთება, ბაღების გაშენება და რაც მთავარია ამ მოკლე ხანში ქ. ადმასკომი შეუდგება დაზიანებულ სახლების რეგისტ[illegible]; ვინც არ მოისურვებს სახლების შეკეთებას, იმ მეპატრონეებს ჩამოერთმევათ სახლი და გადაეცემა საბინაო ამხანაგობას. ერთი რამ კი გასაკვირველია ყველასათვის: ეს გახლავთ ყოფ. ალექსანდრეს ბაღის უყურადღებოდ დატოვება. რომ შეხვალ ამ ბაღში, წარმოგიდგება უპატრონო ტყე.

გარდა ამისა აქ ნახავთ გარყვნილ ქალებს ასეთივე ვაჟებთან ერთად.

ეს ბაღი ისტორიულია: აქ მოჰკლა არსენა ჯორჯიაშვილმა მტარვალი ტალახაძე (გრიაზნოვი), აქ არის სასაფლაო იმ რევოლიუციონერებისა, რომლებმაც გმირულად შესწირეს თავი მუშათა კლასის გამარჯვებას. ახლად გაშენებულ ბაღებს დიდის ყურადღებით ეპყრობა ქ. ადმასკომი; უამრავი ხარჯები გადის მათ კულტურულად დასამუშავებლად.

ქ. ადმასკომო! მიაქციე ყურადღება ალექსანდრეს ბაღსაც!

ჩემის აზრით ზედმეტი არ იქნებოდა ამ ბაღის პირველ ნახევარს დარქმეოდა **არსენა ჯორჯიაშვილის ბაღი.**

მეორე ნახევარს კი **ეგნატე ნინოშვილის.**

მუშა **ქემანი.**

თქვენი ყურადღება ტრამვაის დირექტორო!

ტრამვაის ელექტროსადგურის მეეზოვეებს აგერ უკანასკნელ ხანამდე გარდა კუთვნილი—ძირითადი ჯამაგირისა, ეძლეოდათ წელიწადში ერთი წყვილი „სპეცტანსაცმელი“ და გარდა ამისა, ყოველთვიურად თითო გირ. საპონი.

ესენი ეძლეოდა მეეზოვეებს იმისათვის, რომ მათ ეძლეოდათ ძალიან მცირე ხელფასი—თვეში 18 მანეთი.

ბოლო ხანებში ამ საგნების გაცემა მათ შეუწყვიტეს, ჯამაგირის ნორმა კი ჯერჯერობით იგივეა დარჩენილი. მეეზოვეები ხანში შესული—ცოლშვილით დატვირთული ხალხია. მათთვის ასეთი პირობების შექმნა აუტანელია რაზედაც საჭიროა თქვენი ყურადღება, ტრამვაის დირექციავ!

მუშკორი **ჩხმელი.**

შეცდომა არის, თუ დაუდევრობა?!

გავხდი ავად, თელავის დამზღვევ სალაროს არ ჰქონდა საშუალება მოვერჩინე, რადგანაც მე მჭირდებოდა სპეციალური წამლობა. მომცა სათანადო ქაღალდები და გამომგზავნა თბილისში, რომ აღმოეჩინათ ჩემთვის ყოველგვარი დახმარება. თბილისის დამზღვევ სალაროს გამგემ კი დამტოვა უყურადღებოდ, და ისევ გამგზავნა თელავში. დავრჩი ასე უფულოთ, უწამლოდ და არ ვიცი, როგორ უშველო ჩემს თავს. მე მგონია, რომ მე პირველი არა ვარ და იმ პირებს, რომლებიც არიან შეფარებულები სხვა და სხვა დაწესებულებებში, ადგილი არ უნდა ჰქონდეთ საბჭოთა ხელისუფლების დროს არსად, რომ მუშა-მოსამსახურემ ამგვარი კანონიერი დახმარება მიიღოს თავის დროზე და დაუზარებლად.

ლ. გოგიშვილი.

მცხეთის სადგურის უფროსის საყურადღებოდ.

მცხეთის სადგურზე ამ რამდენიმე დღის წინად ბილეთების რიგში ვიდექით და უცბათ თავზე დაგვეცა რაღაც წვეთები. მივაქციეთ ჭერს ყურადღება და დავინახეთ, რომ ჭერი გაჟღენთილი იყო წყლით, რომელიც მოეშვათ ზემო სართულში მცხოვრებლებს. ცოტა ხნის შემდეგ გაჟღენთილი წყლით კირი თავზედ დაგვეცა. დასველებულ და მოთხუპნულ ხალხის აღელვებას არ ქონდა საზღვარი. ეს მოვლენა დაუშვებელია. სადგურის უფროსს ალბად სძინავს და სიზმარშიაც არ აგონდება თავისი მოვალეობა.

გ—ნი.

წყლის საზომები გასინჯეთ.

(ქალ. ადმასკომის საყურადღებოდ).

მე-10 უბანში, ელისაბედის ქუჩაზე № 118, არსებობს რკინის გზის სახლი, რომელშიაც სცხოვრობს 23 ოჯახი 104 სულით. მაისში წყლის საზომმა გვაჩვენა, რომ იყო დახარჯული 10.400 ვედრო და წყალსადენის განყოფილებამ კი ჩვენ წარმოგვიდგინა 23.800 ვედრის ანგარიში.

საკვირველი ამბავია, როგორ მოხდა ეს, როცა ამ სახლის მოსამსახურეთა ცოლშვილნი სოფლებში არიან წასულნი და წყალსაც ნაკლები ხარჯი აქვს. წყალსადენო, ყურადღებას ვთხოულობთ, რადგანაც ჩვენ მცირე ჯამაგირიანი მუშები ვართ და ყველა მეტი ჩაწერილი ვედრო ჩვენ წელს გვწყვეტავს.

მუშკორი **უხილავი.**

ადმასკომის საყურადღებოდ.

მილიუტინის ქუჩაზე არის რამოდენიმე დარაბა №№-8982, 8983 და სხვა, რომელთაც უკან ეზოში გასავალი არა აქვთ. დამქირავებლები კი დღის განმავლობაში აგროვებენ მრავალნაირ სიბინძურეს და სხვა უსუფთაობას ვედროში და საღამოს გადმოღვრიან ქუჩაში, რის გამო საშინელი სუნი დგება. დღის განმავლობაში სიცხე და მტვერი გვაწუხებს და საღამოს ამათ გამო ფანჯრებს ვერ ვაღებთ. დიდ თავხედობას იჩენს მეხილე აირაპეტოვი დარაბა № 8982-ს მოიჯარადრე, რომელიც არც საყვედურს, არც გაფრთხილებას ყურადღებას არ აქცევს. ვთხოვთ ვისიც ჯერ იყოს, გვიხსნას ამ უსუფთაობისაგან.

ინფ. **უკმაყოფილო „ს“**

ჩვენც მოგვაქციეთ ყურადღება.

(შინ. საქმ. სახალ. კომისარიატის და საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის საყურადღებოდ).

ცოტად მაინც, ვინც კი გაცნობილია გამსახლების თანამშრომლების მდგომარეობას, ის აუცილებლად წარმოიდგენს, თუ როგორ სცხოვრობენ ამ მცირე ხელფასით ესენი. წარმოიდგინეთ, თვეში ღებულობს უმცროსი ზედამხედველი 18 მან., მეტს არაფერს იმ დროს, როდესაც მას ჰყავს თავის კმაყოფაზე ოთხიხუთი სული სარჩენი.

შეპირება იყო ბატინკებზე, ჯერ კიდევ წასრულ წელს შემოდგომისთვის უნდა მოეცათ იგი, მაგრამ აქნობამდის ვერას ვხედავთ. აგრეთვე საზაფხულო ტანთსაცმელებს დაგვპირდენ; თანამშრომლები ველოდებით და ჯერ არაფერი არის; ზაფხული კი უკვე გადის, ამას გარდა ხელფასს ძალიან დაგვიანებით ვღებულობთ: ივლისი უკვე გადის და ჯერ კიდევ არ მიგვიღია ივლისის თვის ხელფასი.

ყველა ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რათა გამოსწორდეს გამსახლების თანამშრომლების აუტანელი მატერიალური მდგომარეობა. ამაზედ უნდა იზრუნოს საბჭოთა მუშაკების კავშირმა.

მუშკორი **ა. დ. მათხოჯელი.**

რკინისგზელებში.

საჭიროა ბინის გაფართოება.

(თბ. საუბნო რკ. გზ. პროფკავშირის საყურადღებოდ).

თბილისის საუბნო დამზღვევ კასას ვიწრო ბინა უჭირავს საუბნო პროფკავშირის შენობაში. რომ საჭირო თავმჯდომარესთან და მოსამსახურეებთან მიმსვლელი დაზღვეულები ერთმანეთში არიან შერეული. ხშირად ერთი ოთახი ისე გაიჭედება მომსვლელებით, რომ გავლა შეუძლებელი ხდება. გარეთ აივანზე დგანან მთხოვნელები. ფულის აღების დროს ჩამოსულ მთხოვნელებს უხდებათ ცდა დიდი ხნით, ამის დრო კი მათ არა აქვთ.

ამ უკანასკნელ ხანებში უბნის ყველა დაზღვევის საქმეები გადადის საუბნო დამზღ. კასის ხელში; მოსალოდნელია, რომ მომავალში შეუძლებელი იქნება სრულებით პროფკავშირში გავლა და მოსალოდნელიც იქნება სრული დომხალი.

თბ. საუბნო პროფკავშირმა საჩქაროდ უნდა იზრუნოს ბინის გადიდებაზე.

ინფ. ა—ძე.

შეადგინეთ გრაფიკი

კონდუქტორების დარგში ვერ გაიგებ ვინ არის უფროსი და ვინაა უმცროსი. აქ ყველა გამგეა, მაგრამ საქმეს რიგიანად არავინ კი არ განაგებს. მაგ. მებარგეებისათვის სამგზ. მატარებელზე არ არსებობს მიმოსვლის „გრაფიკა“, რითაც რა თქმა უნდა უმრავლესობა უკმაყოფილოა. ვერ იქნა ეს საქმე ვერ მოევარდა. ყველგან, ყველა დარგში ასეთი არის გატარებული, მაგრამ აქ კი არ მოხერხდა და თუ შეეკითხები ვისმეს, გეტყვიან: „ცხრილი ხშირად იცვლება და არ მოხერხდებაო“. ცხრილი კი ყოველ თვეში არ იცვლება და თუ გინდ ყოველ თვეშიც იცვლებოდეს, ეს მაინც არ არის საპატიო მიზეზი.

ამას წინედ ამხ. ბასილაშვილმა შეადგინა „გრაფიკი“ და გამოგზავნა „ნარიადჩიკ“ ამხ. კახიანთან. ერთხანაზე კიდეც ატარებდენ, თითქოს, მაგრამ მალე გადაივიწყეს. მე ვეკითხები ამხ. კახიანს, შეუძლია თუ არა მას გამოიჩინოს ადმინისტრატიული სიმკვირცხლე და, თუ შეუძლია, აუცილებლად უნდა შეადგინოს გრაფიკი მებარგე კონდუქტორებისათვის, რომელიც დაურიგდებათ; ამით კი მოეღება ბოლო ამ გაუგებრობას და უთადარიგობას ჩვენ დარგში.

გულნაკლული.

გამოგზავნილი წერილებიდან

რა საჭიროა დადგენილება, თუ ის ცხოვრებაში არ გატარდება.

(გემო-კვების კავშირის საყურადღებოდ)

მუშკოოპის ფურნეების მუშების ერთერთ უკანასკნელ საერთო კრებაზე კავშირის წარმომადგენლის ამხ. ავანოვის მონაწილეობით დადგენილ იქნა ჩვენი კავშირის წევრის მოქ. სარუხანოვის კავშირიდან გაძევების შესახებ, რომელმაც თავისი მოქმედებით არტელის გამგის თანამდებობაზე ვერ დაიმსახურა მუშების ნდობა. მიუხედავად მიღებულ დადგენილებისა, კავშირი არ ღებულობს ზომებს მის გასატარებლად. რაშია საქმე? რად არ ატარებს ცხოვრებაში მუშების დადგენილებას გემო-კვების კავშირი?

მუშკორი **ლონგინოზი.**

გორის „გმირი“

(ქ. გორის ადმინისტრაციის საყურადღებოდ)

ქ. გორში სცხოვრობს მოქ. ბორიო, მაუზერით შეიარაღებული, ახოვანი ახალგაზრდა. მოქ. ბორიო ხშირად შედის მკლავაძის როლში, ქეიფობს და ვერავის მისთვის ვერაფერი ვერ გაუბედნია. საჭიროა მოეთხოვოს მას მეტი სითავმდაბლე, თორემ ახლა მუშას ლამის შიშით თვალი ვერ გაუსწორებია მისთვის.

მუშკორი **შავსოფელი.**

არ გვეძლევა სპეცტანისამოსი.

(ტრამვაის დირექციის საყურადღებოდ).

მიუხედავად ხელშეკრულებისა, ჩვენ, ორთქლის ქვაბებზე მომუშავე მემანქანეებს არ გვეძლევა სპეცტანისამოსი და საპონი, ხოლო დიზელის მემანქანეებს კი ეძლევათ. რად არის ასეთი განსხვავება, როდესაც ორთქლის ქვაბებზე მუშაობა უფრო მეტად და არა ნაკლებად საჭიროებს სპეცტანისამოსს. **იმედია, დირექცია მოგვცემს, რაც გვეკუთვნის.**

მუშა **მემანქანე.**

ს. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში.

შაბათს, 26 ივლისს მე-2 უბნის რკინ. გზის დამცვ. რაზმ. კულტ. კომის. არსებულმა წრემ წარმოადგინა 1. „საშინელი შურის ძიება“, 2. „რაც არ მერგება არ შემერგება“. პიესებში მთავარ როლებს ასრულებდენ „საშინელი შურის ძიებაში“ როსტომის—კოშკაძე, რომელიც დამაკმაყოფილებელი იყო თავის როლში. ცოლის როლს ასრულებდა შოროზია, რომელმაც საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ამ ამხანაგს ეტყობა ნიჭი და სასურველი იქნებოდა, რომ განაგრძობდეს მუშაობას სცენაზე. ავთანდილი—ობოლაძე 1-ლ მოქმ. მოისუსტებდა, მე 2-ში კი დამაკმაყოფილებელი იყო.

მურმანი—ნანუაშვილი კარგათ ასრულებდა თავის როლს.

„რაც არ მერგება არ შემერგება“ში ზაალი—ნანუაშვილი შესაფერისი იყო თავისი როლისათვის. მიხეილ ვარდოსანიძე—ვაშაკიძე კარგი იყო. ნუცა—შოროზია, საუცხოვო იყო ამ როლშიც:

კნეინა—ბაბადიში — დამაკმაყოფილებლად ასრულებდა თავის როლს. საერთოდ ორივე პიესამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე: ხალხი ნასიამოვნები დაიშალა 1 საათზე. ჩვენი მუშური მადლობა ამხ. ბაბადიშს და შოროზიას, რომელნიც უსასყიდლოდ პირველ დაძახების თანავე წრეში დიდის კმაყოფილებით იღებენ მონაწილეობას.

კინო.

პროვინციაში

ომის ათი წლის თავი ქარელში (გორის მაზრა)

კვირას, 27 ივლისს ქარელში შესდგა მიტინგი, რომელსაც დაესწრო დიდძალი გლეხობა; მიტინგი გახსნა ამხ. ქელეხსაშვილმა; მოხსენებით საერთაშორისო ომის 10 წლის თავის შესახებ გამოვიდენ დეპოს მუშები ამხ. ლუკაშევიჩი და უმბრიევი. მათ აუხსნეს გლეხობას ბურჟუაზიის ავაზაკური პოლიტიკა, რომელიც ნიადაგს უმზადებს ახალი ომისთვის. ამ პოლიტიკის აქტიურ მოწინააღმდეგეთ მხოლოდ კომუნისტური პარტიები გამოდიან, ყველა ჯურის სოციალ-შეთანხმებლები კი თვალთმაქცურ პოლიტიკას აწარმოებენ და ხელს უწყობენ გაუმაძღარ იმპერიალისტების მზადებას ახალი საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტისთვის.

მიტინგზე ილაპარაკეს გლეხებმაც, რომლებმაც დაგმეს კაპიტალისტების და მათი დამქაშების პოლიტიკა. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ქარელის გლეხობა გმობს ბურჟუაზიის მილიტარისტულ პოლიტიკას და აცხადება, რომ მიუხედავად მშვიდობიანობის მოყვარულობისა, გლეხობა მზად არის ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დაცვისთვის და მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებისთვის საბრძოლველად.

კრების დასასრულ ილაპარაკა ამხ. ლუკაშევიჩმა მტკვარზე რკინის ხიდის გაკეთების შესახებ. ქარელის შეფმა—თბილისის დეპომ თავს იდვა ამ ხიდის გაკეთება. გლეხობა მადლობას უცხადებს თავის შეფს და მზად არის ხიდის გასაკეთებლად არ დაიშუროს თავისი ძალები და საშუალებები.

მუშკორი **რკინისგზელი.**

სამტრედია

შაბათს, 11 ივლისს, რკინისგზის მუშათა კლუბში იქნა მოწყობილი „ლატარია-ალეგრი“ წარმოდგენით გორის საალმშენებლო ფონდის გაძლიერებისთვის. ხალხი აუარებელი დაესწრო. შემოსავალი 400 მანეთამდის არის.

სამტრედიის რაიონში ყანები წვიმების შემდეგ შესამჩნევათ გამოკეთდა, ასე რომ მოსავალი საშუალოზე მეტი იქნება. პურის მოსავალი ვერ იყო კარგი. მისი აღება დამთავრებულია.

სამტრედიის რაიონში ხშირია საღამოების გამართვა, სადაც დილამდე გრძელდება ქეიფი და ღვინის სმა, რაც დასაშვები არ არის. საჭიროა მილიციამ მიაქციოს ამას ყურადღება.

მიუხედავათ იმისა, ზოგიერთ საგნებზე არსებულ ნიხრისა, აქაური ვაჭრები მაინც არ ანებებენ თავს სპეკულიაციას. ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიამ ჩამოიარა და ბევრს შეუდგინა ოქმი, ზოგი მათგანი დაჯარიმებულ იქნენ. შემოსული ფული გადაირიცხება ახალი თეატრის ასაგებ ფონდში.

ახალი კლუბის ასაგებათ ბალავერი უკვე გათხრილია და მუშაობა შეუწყვეტლივ სწარმოებს

ხან-კანი.

სოფელი ახალი ბოგდანოვკა (გარე-კახეთი)

28 ივლისს თბილისიდან გაემგზავრა საშეფო კომისია სოფელ ახალ ბაგდანოვკაში (სიღნაღის მაზრა), სადაც უნდა ჩაეტარებიათ კამპანია იმპერიალისტური ომის 10 წლის თავის შესახებ. საღამოს 9 საათზე შეიკრიბა მთელი სოფლის გლეხობა და მოისმინა მოხსენებები და გამოიტანეს სათანადო რეზოლიუცია.

აღსანიშნავია, რომ მთელი სოფლის სათესი მიწები, ბოსტნები და ბაღები წელს გადამწვარი და უნაყოფოა. არ მოიპოვება აგრეთვე საქონლის საკვები ბალახი. საშინელ სიცხეებისაგან საქონელიც იხოცება ამასთანავე ერთად გლეხობას აწუხებს ფიქრი სამეურნეო გადასახადის შესახებ. საჭიროა ამ სოფლისთვის შეღავათის მიცემა.

სოფელში არის ერთი პირველდაწყებითი სკოლა და ისიც ისეთ ადგილას არის მოთავსებული, რომ მღვდელის ქადაგება და მასწავლებლის მეცადინეობა ერთსა და იმავე დროს ხდება.

მღვდელი კი მეტად მტრულად არის განწყობილი სწავლა-განათლების საქმისადმი და მისი ჩამოცილება აუცილებლად საჭიროა სოფლის კულტურულ-ეკონომიური წანსვლისთვის.

საშეფო კომისიის წევრი

ალ. ბ—ლი.

აგარაკი ლებარდე-ჩეგოლა (სენაკის მაზრა)

აგარაკ ლებარდე-ჩეგოლაზე მისავალი გზა კარგათ არის შეკეთებული. ს. კურზუმდი შეიძლება ეტლით მისვლა, შემდეგ კი ცხენით სრულიად უშიშრად. წელს სეზონი გაიხსნა 1 ივლისიდან. გაკეთებულია კარგი კარავები და ოთახები. უმეტესად ოთხოთხ ოთახიანი. კარავების და ოთახების ფასი მისაწვდომია მშრომელთათვის. აგარაკზე შეიძლება ყოველნაირ სურსათ-სანოვაგის შოვნა. გზა დაცულია საგანგებო ადმინისტრაციით.

ჰავა საუცხოვოა და რგებს კუჭის და ფილტვების ავადმყოფობათ, ნერვების სისუსტეს და მალარიას.

აგარაკზე არის ექიმი და იშოვება წამლები.

ბაგრატ [illegible]

რაჭის კულტურულ დაწინაურებისათვის

5 ივლისს რაჭის დამხმარე საზოგადოებამ ბაღ „არტოში“ გამართა საღამო, რომელმაც დიდძალი საზოგადოება მიიზიდა და დამაკმაყოფილებლათაც ჩატარდა.

საღამომ დასტოვა შემოსავალი 800 მანეთამდე, რომელიც გამოყენებულ იქნა შემდეგნაირათ: რაჭის 28 თემში არსებულ დრამატიულ წრეებს დაეგზავნათ მატერიები ფარდებისა და დეკორაციებისათვის, 28 თემს ერთის წლით გამოუწერეს გაზ. „კომუნისტი“ და „მიწის მუშა“.

აგრეთვე განზრახულია შესაძლებლობის ფარგლებში გაგზავნილ იქნეს საჭირო ლიტერატურა, გრიმები და პარიკები დრამატ. წრეებისათვის.

ვესალმებით ამ ახალგაზრდობის ასეთ სიმპატიურ განზრახვას და მათ ენერგიულ საქმიანობას.

რაჭველი.

ბიბლიოგრაფია

„Экономический Вестник Закавказья“, № 1

ეჭვს გარეშეა დიდ ნაკლულევანებათ უნდა ჩაითვალოს, რომ მიმდინარე ლიტერატურაში ძალიან სუსტი ადგილი აქვს დათმობილი ეკონომიური ხასიათის შრომებს და გამოკვლევებს. ჩვენ ამას ვლაპარაკობთ ეკონომიური მეცნიერების სხვადასხვა კითხვების დამუშავებაზე, თეორეტიული ხასიათის კვლევა-ძიებაზე: სისტემატიური სერიოზული მუშაობის საგნათ არ გამხდარა თვით ის პრაქტიკული საკითხებიც, რომლებსაც აყენებს ჩვენი სინამდვილე ყოველდღიური მუშაობის პროცესში. არა თუ არ მოიპოვება სპეციალური ჟურნალები, არამედ თვით არსებულ ორიოდე პერიოდიულ გამოცემებშიც იშვიათად ან სულ არ შეხვდებით ამ საკითხების გარჩევას სპეციალური, მიმდინარე სამეურნეო აღმშენებლობისათვის საჭირო მიზნით. რამოდენიმეთ უკეთესათაა მდგომარეობა ამ მხრივ აზერბეიჯანში, უფრო ცუდათ სომხეთში და უარესათ ჩვენში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ სუსტ გამოხმაურებას, რომელსაც პოულობენ ეს საკითხები ყოველდღიურ პრესაში, რაც, რასაკვირველია, არ არის დამაკმაყოფილებელი. ცენტრალურ გამოცემებში (მოსკოვში) გაცილებით უფრო მეტ მასალას შეხვდებით ამიერ-კავკასიის ეკონომიკის საკითხებზე, ვინემ აქ, ადგილობრივ ლიტერატურაში.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად აღსანიშნავია ერთი ცდა სპეციალური ჟურნალის გამოცემით, რომლის სათაური ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ. არ ვიცით, რამდენათ შეასრულებს თავის მრავალ მხრივ დანიშნულებას ეს ჟურნალი, მაგრამ უკვე მისი გამოშვება თავის თავად წარმოადგენს დიდ ნაბიჯს, გადადგმულს ამ მიმართულებით და ღირსია ჩვენი ყურადღების, თანაგრძნობის და აქტიური დახმარების. დაწესებულება (ამიერ-კავკ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო), რომლის ორგანოა ეს ჟურნალი, ამას გარდა თანამშრომლების ვინაობა, გამოცხადებული პირველ ნომერში, დაბოლოს მიზანი, რომელსაც ისახავს ეს ახალი გამოცემა და რომელიც უეჭველათ უნდა იქნეს მიღწეული თუ გვინდა წინ წავიწიოთ სოციალისტური ეკონომიკის აღმშენებლობაში—ყოველივე ეს იმის თავდებია, რომ ახალი გამოცემა შეასრულებს დანიშნულებას, რომელსაც უსახავენ მას მისი ინიციატორები. რაში მდგომარეობს ეს დანიშნულება? ამ საკითხზე აძლევს პასუხს მეთაურ წერილში ამხ. ა. მიასნიკოვი.

„ჩემი აზრით—სწერს ავტორი—„Экономический Вестник Закавказья“ უნდა ისახავდეს შემდეგ უშუალო ამოცანებს: ამიერ-კავკასიის მეურნეობის შესწავლას, მასალების შეკრებას, მათ დამუშავებას და სისტემაში მოყვანას—ეს ერთი მხრით და მეორეთი—თეორეტიულ ბრძოლას სამეურნეო ფეოდალიზმთან“.

რაში მდგომარეობს ეს უკანასკნელი ე. ი. „სამეურნეო ფეოდალიზმი“. ამხ. მიასნიკოვი ასე განმარტავს ამ ცნებას:

„სამეურნეო განთვითება ან განცალკევება, თავის სამეურნეო ნაჭუჭში მოქცევა (обособленность или партикуляризм, хозяйственная замкнутость)—აი შინაარსი ამ ფეოდალიზმის... იქ, სადაც გაძნელებულია სამეურნეო კავშირი, სადაც არ არსებობს ან სუსტია მისწრაფება სამეურნეო ურთიერთზემოქმედებისაკენ საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებს შორის—ასეთ მდგომარეობას ჩვენ ვახასიათებთ სიტყვებით: „სამეურნეო ფეოდალიზმი“.

არის თუ არა ამიერ-კავკასიაში ასეთი მდგომარეობა ან ტენდენცია ამგვარ „სამეურნეო ფეოდალიზმისაკენ“? ამხ. მიასნიკოვი სამართლიანათ იძლევა ამ საკითხზე დადებითი პასუხს „სამეურნეო კარჩაკეტილობა (замкнутость) შესამჩნევია ამიერ-კავკასიაში. ჩვენ ამით არასფერ ახალს არ ვამბობთ. ეს აღიარებულია ბევრ ჩვენ ყრილობებზე და მათ გადაწყვეტილებებში“.

ჟურნალის პირველი ნომერი, მიუხედავათ იმისა, რომ ის პირველი ცდაა, საკმაოთ შინაარსიანია. ის შესდგება შვიდი განყოფილებიდან. საყურადღებო წერილებია მოთავსებული ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც საბჭოთა კავშირის დაყოფა რაიონებათ და ამიერ-კავკასიის ადგილი ჩვენ კავშირში, სასოფლო მეურნეობა და სახელმწიფო გეგმიანი მუშაობა, ამიერ-კავკასიის უმაღლესი სამეურნეო საბჭო და ბევრი სხვა.

ჟურნალში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი სხვადასხვა ეკონომიური ორგანოების მოღვაწეობის მიმოხილვას. საინტერესოთ არის შედგენილი ეკონომიური ქრონიკაც. მოთავსებულია აგრეთვე სხვადასხვა გაზეთების ეკონომიურ-ფინანსიური წერილების მიმოხილვა: „ზარია ვოსტოკასი“, „კომუნისტის“, „მარტაკოჩის“, „ხორურდაი აიასტანის“, „ენი ფიკრის“.

მოთავსებულია ჟურნალში ბიბლიოგრაფია რამოდენიმე წიგნზე. ოფიციალურ განყოფილებაში შედის ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მთელი რიგი დეკრეტებისა.

ჩვენ ვუსურვებთ ახალ ჟურნალს ნაყოფიერ მუშაობას.

ნ. კ—ძე.

წერილი რედაქციის მიმართ

„რემედასს“-ის სრულიად საქართველოს განყოფილება მადლობას უცხადებს შემდეგ პირებს:

1. სოგომონიანს და სიუტჩიანს—ჟურნ. რემედასსის მე-2 ნომრის კლიშეების უფასოთ დამზადებისათვის—ღირებული 60 მან.
2. ნიკ. აბესაძეს—ამ ჟურნალში მოთავსებულ წერილების რედაქციისათვის—ღირებული 20 მან.
3. დ. ქუთათელაძეს—ამავე ჟურნალის ყდის სურათის დახატვისათვის—ღირებული 10 მან.

მდივანი: **პ. ხვანიძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს ანდა მათ მოადგილეებს მობრძანდენ პარასკევს დილის 8 ნახ. საათზე თათბირზე თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

არსენალის რაიონი:

1) სპილენძის ჩამომსხმელი ქარხანა—იუზბაშევი ისაკ, 2) როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანა—ვრდოიანი, 3) ფაბრიკა „პროლეტარი“—აგანოვი გრიგოლ, 4) „ცენტროტრამოტის“ გარაჟი—მზარეულაშვილი, 4) არსენალი—ტოღონიძე გრიგოლ, 5) კოლოფების ფაბრიკა—თარხანოვა პელაგია, 6) ხე-ტყის სახერხი ქარხნების გაერთიანებული საქარხნო კომიტეტი—პოგოლოვი, 7) სახელმწიფო ღვინის ტრესტი—ხაჯაპარუ-ხოვი, 8) მეტყავეები—ყაზარიანი ანნა.

მესამე რაიონი:

1) ტყავის ქარხანა № 1 ჩერნიკოვი, 2) საპნის და ზეთის ტრესტი—ხვინია, 3) ტყავის ქარხანა № 3—გაზალოვი, 4) სათბობი მასალის განყოფილება—ტერ-ვართანოვი.

მეოთხე რაიონი:

1) მე-3 სტამბა—წერეთელი, 2) პირველი სტამბა—მღებრიშვილი, 3) მე-5 სტამბა—ხაჩატუროვი, 4) „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა—დემიდოვი, 5) პოლიგრაფიულ განყოფილების ლიტოგრაფია—დორმიდონტდოვი, 6) ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხანა—აგოიანცი, 7) მეოთხე სტამბა—გრიგორიანი, 8) „რაბოჩაია პრავდა“-ს სტამბა—პეტროსიანი, 9) გრეხილი ავეჯის ფაბრიკა—ევსეენკო

თბილისის კომიტეტის საგ.—საპრ. განყ. გამგის მოდგილე **ნ. ელისაბედაშვილი.**

— საქ. კ. პ. ც. კ. სააღრიცხვო განმანაწ. განყ. გაუქმებულად აცხადებს პ. ბილეთებს № 497911 ამხ. ლუკა ჯანჯულიაზე და № 497912 ამხ. ნესტორ გერგაიაზე.

— საქართველოს კომპარტიის ცეკა წინადადებას აძლევს ქალაქ თბილისის, მისი მაზრების და საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქების ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ, სამეურნეო და კოოპერატიულ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ საქართველოს კომპარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში (ასლი განათლების სახალხო კომისარიატში) სიები ყველა იმ სტიპენდიანტებისა, რომლებიც იმყოფებიან საბჭოთა კავშირის ფარგლებში და აგრეთვე საზღვარ-გარეთ; სიებში აღნიშნული უნდა იყოს ის, თუ სად იმყოფება სტიპენდიანტი, რამდენს იღებს სტიპენდიის, ვინ და როდის გაგზავნა, სოციალური მდგომარეობა და სტიპენდიანტის პარტიული მრწამსი.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი **კახიანი.**
ც. კ. სააგ.-საპრ. განყ. გამგე **ბახტაძე.**
პროფ. განათ. მთავარმმართველობის უფროსი **მეძმარიაშვილი.**

განცხადებები

ფოსტა-ტელეგრაფის სახ.-
კომისარიატთან
გაიხსნა კომერციულ. საგენტოს საექსპედიციო-სატრანსპორტო კანტორა
„კავშირი“ (საბაჟოს ქ. № 6. ტელეფ. № 17--88, საბარგო სადგურის პირდაპირ),
რომელიც ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

1) რკ. გზ. სადგურიდან ტვირთების მიღება და გადაზიდვა საკუთარ მანქანებით ტვირთის მეპატრონეთა ჩვენებით, ფრახტის გადახდით საქონლის რეალიზაციამდე.

2) ტვირთების დაზღვევა და შენახვა საკუთარ საწყობებში სრული პასუხისმგებლობით.

3) საქონლის მიღება საკომისიოთ და მის ნაცვლად სესხის მიცემა საქონლის რეალიზაციამდე.

4) ტვირთების გაგზავნა რკინისგზათა და ზღვით საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქებში და სადგურებში.

5) ბარგის მიღება და გაგზავნა ყველა მატარებლებით.

6) ყველა სარკინისგზო და საბაჟო ფარმალობის შესრულება როგორც ტვირთების მისაღებად, ისე გასაგზავნად.

7) გადაზიდვა ქალაქის ფარგლებში და ყოველგვარ დავალებათა მიღება სახლებში და საწყობებში ტვირთების ოპერაციების საწარმოებლად.

8) საპრეტენზიო საქმეების წარმოება ტვირთების დაკარგვისათვის რკ. გზებზე, ზედმეტი გადასახადების ამოგება და სხვ.

9) კანტორა იღებს გადასაზიდათ ყოველგვარ ტვირთს ყოველგვარ რაოდენობით.

10) კანტორასთან არსებობს ჩასაწყობი და საამანათო განყოფილება, რომელიც აწარმოებს ყოველგვარ საქონლის ჩალაგება-ჩაწყობას.

11) ტვირთების ვაგონებით გაგზავნა, ტვირთის პატრონების სურვილის მიხედვით სწარმოებს პასუხისმგებელ თანმხლებელით დანიშნულების ადგილამდე.

12) კომერციულ საგენტოს „კავშირს“ აქვს თავისი საექსპედიციო-სატრანსპორტო კანტორები მოსკოვში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში; საგენტო ტვირთების მიღებას და გაგზავნას აწარმოებს გამგზავნელის სურვილის მიხედვით **საგენტოს სრულ პასუხისმგებლობის ქვეშ.**

გამგეობის თავმჯდომარე—**რუსტანოვიჩი.**
კანტორის გამგე—**ბურიი.** 1367 1—1

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სამეურნეო-ადმინისტრატიულ განყოფილებასთან არსებული კომისია ამით აცხადებს,
რომ 7 აგვისტოს, დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

15 ცალ სხვადასხვა სისტემის მსუბუქ მანქანების (ავტომობილების) გასასყიდათ.

მანქანების გასინჯვა შეიძლება ყოველდღე სახალხო კომისართა საბჭოს სასახლის ეზოში, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

შესავალი სასახლის კომენდატურის კარებიდან.

სახ. კომისართა საბჭო სამნეო განყოფილების
ნ. 1370 5—1 გამგე—კ. მირიმანოვი.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანაშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფობათათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდები ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით.
ბით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—16

სასამართლოს დადგენილების ქალ. თბილისის მე-10 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი გავსოვიჩი

ამით აცხადებს, რომ 1924 წ. 5 აგვისტოს, დილის 9 საათზე, პლეხანოვის პრ. № 97, არაყის-ლიკიორის და კონიაკის ქარხანაში „ოქროს ზარი“ მის მიერ საჯარო ვაჭრობით გაყიდული იქნება დავით, იგივე მნაცაკან, ომაროვის მოძრავი ქონება, რომელიც შესდგება თუჯის ქვაბებისა, სპილენძის ფილტრებისა, ჩამომსხმელი მანქანისა, სპილენძის კუბისა და ცინკგადაკრულ მაგიდისაგან, რომელიც აწერილია დავით კალანტაროვის, სერგი ხიტაროვის და სხვა მუშების და განჯის რაიონის მევენახეთა და მეღვინეთა საწარმოო კოოპერატივის „კონკორდია“-ს პრეტენზიების დასაკმაყოფილებლათ აღმასრულებელი ფურცლით № 1278,1762 და 25300. ეს ქონება შეფასებულია 542 მ. 36 კ.

1600 1—1

ქ. თბილისის მე-3—4 რაიონების სასამართლო აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 5 აგვისტოს 1924 წ. დღის 12 ს. სახლში № 4 განოვის ქ. კრინსკაიას სახელოსნოში საჯარო ვაჭრობით გაყიდის სეროჟ (სერგო) სერგიანცის მოძრავ ქონებას—ქალის შლიაპებს, შეფ. 138 მანეთად, ოლღა სერგანცის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო სასამართლოსაგან 14 ივნისს—1922 წ. თარიღით № 685, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

1597.

დაკარგე რკ. გზის ბირჟის წიგნაკი № 818. ონიფანტე ალექსის ძე მინდაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1603 1—1

დაკარგე ბილეთი გაცემული ალექსანდრა ზაპოლსკაიას სახელზე სიმფეროპოლის (სიმფეროპოლი) მთავარ მილიციის სამმართველოდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1604 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა მოცემული რკინის გზის სამმართველოდან ნინო ხეთერელის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1601 1—1

დაკარგე შრომის ბირჟიდან გაცემული საწევრო წიგნაკი, პელაგია თედორეს ასული გუგუშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებუბულად. 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა და რკინისგზის სამსახურში ყოფნის საბუთი დიმიტრი კუნდუკაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1596 1—1

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის პირადი წიგნაკი, აღებული მე-12 უბნის სამხედრო მაგიდიდან, ვლადიმერ გრიგოლის ძე ჩიქოვანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1599 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 4500 და დაზღვევის წიგნ № 6353 დიმიტრი ებრალიძის სახელზე. ჩაითვა გაუქმებულად. 1602 1—1

ტირაჟი—12,500

სტამბა „ზარია ვოსტოკის“, საზა წულუკიძის ქუჩა № 4.